პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 99 (9875) | სამშაბათი, 27 აპრილი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

გაანეიტრალეთ ხალხთა ერთიანობა მშვიდობისათვის ბრძოლაში

1954 წლის პირველ მაისს ყველა ქვეყნის მშრომელები ეგებებიან მტკიცე მშვიდობისათვის ხალხთა მზარდი ბრძოლის ვითარებაში. ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეს თავის ხელში იღებს მილიონობით ადამიანი. მშვიდობისა და ეროვნული უშიშროების დაცვის ბაზაზე ერთიანდებიან სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულების ადამიანები. ეს არის უკანასკნელი წლების საერთაშორისო მდგომარეობის განვითარების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი შედეგი.

ეგებება რა 1 მაისს—მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს, — საბჭოთა ხალხი მხურვალე სალამს უძღვნის მშვიდობისათვის მებრძოლ ყველა ხალხს. გამოთქვამს რა მშვიდობისადმი საბჭოთა ადამიანების მისწრაფებას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის საპირველმაისო მოწოდებებში აცხადებს:

— ყველა ქვეყნის მშრომელებო! მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას! განამტკიცეთ ხალხთა ერთიანობა მშვიდობისათვის ბრძოლაში, გაამგრავლეთ და დარაზმეთ მშვიდობის მომხრეთა რიგები!

გაუმარჯოს ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობას!

მშვიდობისათვის მებრძოლი ძალები განუწყვეტლივ იზრდება და მტკიცდება. მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო მოძრაობამ ჭეშმარიტად დიდი გზა განვლო. უდიდესი გავლენა მოახდინა და ახდენს საერთაშორისო ვითარებაზე. მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლამ უკვე გამოიწვია საერთაშორისო დაძაბულობის ეთვალსაჩინო შენელება. მშვიდობისმოყვარე კაცობრობამ მოაღწია იმას, რომ შეწყდა ომი კორეაში. გაიმარჯვა მშვიდობისადმი მილიონობით ადამიანის მისწრაფებამ, რომელიც ისეთი მძლავრი ძალა გახდა, რომ აგრესორები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მას.

მთელ მსოფლიოში, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მძლავრი ფაქტორია დემოკრატიული ბანაკი, რომელიც აერთიანებს კაცობრიობის ერთმესამედს და რომელიც შეკავშირებულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი იდეით.

— ძმური სალამი ჩინელ ხალხს, რომელიც წარმატებით იგრძვის თავისი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობისათვის, თავისი სახალხო-დემოკრატიული ყოფიერების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის!

გაუმარჯოს და აყვავდეს საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის უღვთივი ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა — მშვიდობის შენარჩუნებისა და ყველა ქვეყნის ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის მძლავრი ფაქტორი!

იმპერიალისტების ბანაკი ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული ძალების მეთაურობით ეწინააღმდეგება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები მეცადინეობენ სულ უფრო ჩაღდება „ცივი ომი“. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დემონსტრაციულად გამოჰყოფს დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებში ძირგამოთხრილი საქმიანობისათვის ასეულ მილიონობით დოლარს, განაგრძობს გამალებული შეიარაღების პოლიტიკას, აკოწიწებს სამხედრო დაჯგუფებებს და დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების ზედ საზღვრებთან გაძლიერებით ქმნის სამხედრო ბაზების ხშირ ქსელს.

საერთაშორისო აგრესიული წრეები ამზადებენ გეგმებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტების მფარველობით შეიქმნას კოლონიზატორთა „გაერთიანებული ფრონტი“ აზიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. მათ არა სურთ შეიგნონ, რომ არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს აიცდინოს აზიის ხალხები თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზას.

— ძმური სალამი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების მისწრაფება — გააფართოონ ომი ინდოჩინეთში, აგრეთვე ხელი შეუშალონ კორეის საკითხის სამშვიდობიან მოწესრიგებას — მოწმობს, რომ ამერიკის მონოპოლიები პირდაპირ დაინტერესებული არიან გააგრძელონ საერთაშორისო ვითარება, რათა განაგრძონ გამალებული შეიარაღება და შეინარჩუნონ დიდი სამხედრო მოგება. მსოფლიოს ხალხები მოელიან, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელიც დღეს ჟენევაში იხსნება, ხელს შეუწყობს კორეის ეროვნულ გაერთიანებას დემოკრატიულ საწყისებზე და უზრუნველყოფს, რომ ინდოჩინეთში დამყარდეს მშვიდობა, რომელიც შეესაბამება მისი ხალხების თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პრინციპებს.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია გერმანიის საკითხი. ხალხები მოითხოვენ, რომ გერმანიის საკითხი გადაწყდეს ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესების გათვალისწინებით, აგრეთვე გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

ამერიკელი იმპერიალისტები გერმანიის მილიტარიზმს აღადგენენ როგორც „ევროპის არმიის“ დამკვრელ ძალას. მაგრამ მტკიცდება სოლიდარობა ევროპის ხალხებისა, რომლებიც იბრძვიან გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებათა შექმნის პოლიტიკის წინააღმდეგ, კოლექტიური უშიშროებისათვის.

— დაე განმტკიცდეს ხალხთა სოლიდარობა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებათა შექმნის ფინაალმდეგ!

გაუმარჯოს მტკიცე მშვიდობას და ევროპის უველა ხალხის კოლექტიურ უშიშროებას!

წავიდა ის დრო, როცა აგრესიულ ძალებს შეეძლოთ მოეგზავნათ ომები ფარულად, ხალხების ზურგს უკან. ლენინი გვასწავლიდა გულმოდგინედ ვამხილოთ საიდუმლოება, რომელიც ომებს წარმოშობს. მას შემდეგ ხალხთა შეგნებულობა და სიფხიზლე განუზომლად გაძლიერდა, ხოლო მშვიდობის მომხრე ძალები შეუდარებლად განმტკიცდნენ.

ხალხებმა ისწავლეს, თუ როგორ გამოიცნონ მიზნები დანაშულებრივი მაქინაციებისა, რომლებიც მიმართულია საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერებისაკენ. საზღვარგარეთ სულ უფრო ფართო ფენები ხვდებიან, რომ ეგრეთწოდებული „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები ახორციელებენ, მიზნად ისახავს საერთაშორისო თანამშრომლობის ლიკვიდაციას, ახალი ომის მოგზადებას.

ხალხთა მეგობრობის, ყველა ქვეყნის, დიდი თუ მცირე ქვეყნების თანასწორუფლებიანობისა და კანონიერი ინტერესების პატივისცემის საბჭოთა იდეოლოგიას სულ ახლი მომხრეები უჩნდება ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. საბჭოთა ხალხი იბრძვის ხალხთა შორის მტრობისა და სიძულვილის გაღვივების კაცთმოძულეობითი პოლიტიკის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის ხალხებსა და საბჭოთა ხალხს აქვთ საერთო მიზანი, რომელიც მათ აერთიანებს, ეს არის ბრძოლა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ომის თავიდან აცილებისათვის, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის. ეს მიზანი შეესაბამება ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს.

— გაუმარჯოს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას მათს ბრძოლაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ომის თავიდან აცილებისათვის და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის!

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხებსა და საფრანგეთის და იტალიის ხალხებს შორის მეგობრობას!

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ნათელია. მისი ძალა ის არის, რომ იგი შეესაბამება როგორც საბჭოთა ხალხის, ისე მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესებს. ჩვენს პოლიტიკას, ამბობდა ჯერ კიდევ ლენინი, იზიარებს დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა. ეს არის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პოლიტიკა, საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკა.

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას — მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების უფლებ პოლიტიკას, ახალი ომის მომზადებისა და აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის, ყველა ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობისა და საქმიანი კავშირის დამყარებისათვის ბრძოლის პოლიტიკას!

— გაუმარჯოს დიდ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ბურჯს, მთელი მსოფლიოს მშვიდობის მტკიცე დასაყრდენს!

„პრავდის“ 26-IV მოწინავე.



ა. ბ. სტალინის ძეგლი ქ. მახარაძეში.

ი. ბ. სტალინის ძეგლის გახსნა მახარაძეში

მახარაძე. (საკ. კორ.). კვირას, 25 აპრილს, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა გენიალური ვ. ი. ლენინის თანამებრძოლის და მისი უკვდავი საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის ძეგლი.

ქალაქის ცენტრალური მოედანი, რომელსაც ამ დღეებში მიეკუთვნა ი. ბ. სტალინის სახელი, საზეიმოდ იყო მორთული. აქ რაიონის მშრომელებთან ერთად მოვიდნენ სტუმრები რესპუბლიკის დედაქალაქიდან, მეზობელი რაიონებიდან.

დღის პირველ საათზე ტრიბუნაზე აღიან რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, სტუმრები.

ი. ბ. სტალინის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგს ხსნის მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. საბაშვილი. გაისმის საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი. საქართველოს კ. პ. მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ჭანუყვაძე სჭრის ლენტს და ი. ბ. სტალინის ძეგლს ეხსნება საბურველი. გამოჩნდა საყვარელი ბელადის ი. ბ. სტალინის ბრინჯაოს ქანდაკება.

ი. ბ. სტალინის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოთქვა საბჭოის მახარაძის რაიკომის მდივანმა ამხ. შ. ჭანუყვაძემ.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის სტახანოველი მუშა ანტონინა იაკუნინა, სოფელ განახლების ბუღიონის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი ს. ჩხაიძე, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ვ. ჯაში, შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ჩხაიძე, ჩოხატაურის რაიონის მშრომელთა სახელით ძველი კომუნისტი კ. ცინცაძე.

დასასრულ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. მუედლიშვილმა.

საკავშირო პროფსაბჭოში

1954 წლის 1 მაისის დღესასწაულის მოსაწყობად სახსრების ხარჯვის შესახებ

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ 1954 წლის 23 აპრილის დადგენილებით დაიწესა შემდეგი მაქსიმალური ოდენობა იმ ხარჯებისა, რის გაწევაც შეუძლიათ პროფკავშირთა ორგანოებს ხელმძღვანელებს და პროფკავშირებისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს 1954 წლის 1 მაისის დღესასწაულის მოწყობისათვის, დემონსტრანტთა კოლონების გაფორმების, შენობათა მორთვა-გალამაზების, საზეიმო კრებების გამართვისა და სხვა ღონისძიებებისათვის:

იმ საწარმოთათვის, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 10 ათასი კაცი და უფრო მეტია — არაუმეტეს 7.500 მანეთისა, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 5-დან 10 ათასამდეა — არაუმეტეს 3.750 მანეთისა, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 1,5-დან 5 ათასამდეა — არაუმეტეს 1.500 მანეთისა, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 0,5-დან 1,5 ათასამდეა — არაუმეტეს 750 მანეთისა და სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 500-მდეა — არაუმეტეს 300 მანეთისა.

იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სადაც მოსამსახურეთა რიცხვი 1 ათას კაცს აღემატება — არაუმეტეს 750 მანეთისა, სადაც მოსამსახურეთა რიცხვი 500-დან 1 ათასამდეა — არაუმეტეს 560 მანეთისა, სადაც მოსამსახურეთა რიცხვი 200-დან 500-მდეა — არაუმეტეს 400 მანეთისა და სადაც მოსამსახურეთა რიცხვი 200-მდეა — არაუმეტეს 150 მანეთისა.

სახსრების ხარჯვა 1 მაისის დღესასწაულის მოსაწყობად აღნიშნული ოდენობით მოხდეს მხოლოდ შემდეგი წყაროებიდან:

ა) საწარმოებისათვის — დირექტორის ფონდიდან, ხოლო იმ საწარმოებში, სადაც ასეთი ფონდი არ არის, საერთო საქარხნო ხარჯების ეკონომიიდან, აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის იმ სახსრებიდან, რომლებიც გამოყოფილია ხარჯთაღრიცხვით დღესასწაულის მოწყობისათვის;

ბ) დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის — ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ხარჯთაღრიცხვის ეკონომიიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1954 წლის 26 აპრილის სხდომის შესახებ

26 აპრილს, დღის 10 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს მეექვსე სხდომა.

ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდა დეპუტატი **ი. ვ. პეივე** (ბაუსკის ოლქი, ლატვიის სსრ). შემდეგ თავმჯდომარე **ვ. ტ. ლაცისი** სიტყვას აძლევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ **გ. მ. მალენკოვს.**

ეროვნებათა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შეწყდეს კამათი სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო და მოისმინა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ **ა. გ. ზverევის** საბოლოო სიტყვა, აგრეთვე ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ა. მ. საფრონოვის** საბოლოო სიტყვა.

დეპუტატ **მ. ა. ფერინის** წინადადებით ეროვნებათა საბჭომ მიიღო ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგი წესი: სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს კენჭი ეყაროს შემოსავლისა და გასავლის ნაწილის საერთო ჯამების მიხედვით, კანონი სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მიღებულ იქნეს მუხლობრივად.

ეროვნებათა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. მუხლობრივად, ხოლო შემდეგ მთლიანადაც ერთხმად მიღებულ იქნა კანონი სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

ეროვნებათა საბჭო შეუდგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებას. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ნ. მ. პეგოვმა.**

კამათში საკითხზე იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რუსეთის სფსრ შემადგენლობიდან უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ, გამოვიდნენ: დეპუტატი **მ. პ. ტარასოვი** (უფის ოლქი, რუსეთის სფსრ); დეპუტატი **პ. გ. ტიჩინა** (კიევის ოლქი, უკრაინის სსრ).

ეროვნებათა საბჭო ერთხმად იღებს „კანონს რუსეთის სფსრ შემადგენლობიდან უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ“.

შემდეგ ეროვნებათა საბჭო ერთხმად იღებს „კანონს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ“, რომლებიც მიღებულ იქნა მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში ახალი ოლქების შექმნასა და ზოგიერთი ოლქის გაუქმებასთან და სსრ კავშირის ახალი სამინისტროების შექმნასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, ეროვნებათა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი „საყოველთაო სამხედრო ბეგარის 30-ა და 30-ბ მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ“ და „სსრ კავშირის მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის ქორწინების აკრძალვის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 15 თებერვლის ბრძანებულების გაუქმების შესახებ“.

ამით დამთავრდა ეროვნებათა საბჭოს მეექვსე სხდომა.

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1954 წლის 26 აპრილის სხდომის შესახებ

26 აპრილს, დღის 4 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიხსნა კავშირის საბჭოს მეხუთე სხდომა.

კავშირის საბჭოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდა დეპუტატი **მ. მ. მეჯიდოვი** (ბუინაკსკის ოლქი, დაღისტნის ასსრ). შემდეგ თავმჯდომარე **ა. პ. ვოლკოვი** სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვს.**

კავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შეწყდეს კამათი სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო და მოისმინა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ **ა. გ. ზverევის** საბოლოო სიტყვა, აგრეთვე კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ს. სენინის** საბოლოო სიტყვა.

დეპუტატ **ი. პ. ოსტროვის** წინადადებით კავშირის საბჭომ მიიღო ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგი წესი: სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს კენჭი ეყაროს შემოსავლისა და გასავლის ნაწილის საერთო ჯამების მიხედვით, კანონი სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მიღებულ იქნას მუხლობრივად.

კავშირის საბჭო ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს. მუხლობრივად, ხოლო შემდეგ მთლიანადაც ერთსულოვნად მიღებულ იქნა კანონი სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

კავშირის საბჭო შეუდგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებას. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ნ. მ. პეგოვმა.**

კამათში საკითხზე იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რუსეთის სფსრ შემადგენლობიდან უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ, გამოვიდნენ: დეპუტატი **მ. ა. იასნოვი** (მოსკვა-რეკის ოლქი, ქ. მოსკოვი) და დეპუტატი **ნ. პ. ბაჟანი** (ტულჩინის ოლქი, უკრაინის სსრ).

კავშირის საბჭომ ერთხმად მიიღო „კანონი რუსეთის სფსრ შემადგენლობიდან უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ“.

შემდეგ კავშირის საბჭომ ერთხმად მიიღო „კანონი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ“, რომლებიც მიღებულია მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში ახალი ოლქების შექმნასა და ზოგიერთი ოლქის გაუქმებასთან და სსრ კავშირის ახალი სამინისტროების შექმნასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, კავშირის საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი „საყოველთაო სამხედრო ბეგარის 30-ა და 30-ბ მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ“ და „სსრ კავშირის მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის ქორწინების აკრძალვის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 15 თებერვლის ბრძანებულების გაუქმების შესახებ“.

ამით დამთავრდა კავშირის საბჭოს მეხუთე სხდომა.

კავშირის საბჭოში

23 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა კავშირის საბჭოს მესამე სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები. მთავრობის ლოჟებში არიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მინისტრები.

თავმჯდომარე მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ი. დ. მუსტაფაევს.** იგი ამბობს, რომ არჩევნები 708-ვე საარჩევნო ოლქში მოეწყო სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით. სამანდატო კომისიას სწორად მიაჩნია 708-ვე დეპუტატის რწმუნებანი, რომლებიც კავშირის საბჭოში აირჩია ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ.

დეპუტატ **მ. პ. კაუნიატეს** (ლატვის სსრ) წინადადებით კავშირის საბჭო ერთხმად ამტკიცებს სამანდატო კომისიის მოხსენებას და ცნობს პალატის ყველა დეპუტატის რწმუნებებს.

შემდეგ გრძელდება სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა.

ტრიბუნაზეა თბომავალ „ვილნიუსის“ კაპიტანი დეპუტატი **ი. გ. გავრილოვი** (ლენინგრადის ოლქი). — მშრომელებისათვის პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას, — ამბობს იგი, — მკაფიოდ გამოხატავს სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ამასწინანდელი შემცირება, რომელიც მეშვიდეა ომისშემდგომ წლებში. ჩვენ, შორი ნაოსნობის მეზღვაურები, სხვადასხვა სახელმწიფოში რომ ვართ ხოლმე და ვაკვირდებით კაპიტალისტურ სინამდვილეს, განსაკუთრებულ სიამაყეს ვგრძნობთ ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის, რომელიც აყვავების გზით მიდის. კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების ნავსადგურებში უბრალო მშრომელები სიყვარულითა და იმედით შემოჰყურებენ ჩვენი სამშობლოს ალამს.

დეპუტატმა **ი. ვ. კებინმა** (ესტონეთის სსრ) თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს. მტს-ებსა და კოლმეურნეობებში გაიგზავნა ათასზე მეტი აგრონომი და ზოოტექნიკოსი, რომლებიც წინათ მუშაობდნენ კანცელარიებში, სასოფლო-სამეურნეო სამმართველოებში, რესპუბლიკურ და საქალაქო ორგანიზაციებში. ამან ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო არტელების მუშაობის გაუმჯობესებას. 1953 წლის პირველი ოქტომბრიდან 1954 წლის 1 აპრილამდე რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 41 პროცენტით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. შესამჩნევად გადიდდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი.

ახასიათებს რა მრეწველობის მუშაობას, რომელმაც აგრეთვე მიაღწია ერთგვარ წარმატებებს, ორატორი ამბობს, რომ ეს წარმატებანი შეიძლებოდა გაციებით მეტი ყოფილიყო, მტკიცე ბრძოლა რომ გაეჩაღებინათ მთელი შინარეზერვების გამოსაყენებლად.

დეპუტატი **ი. პ. განნეკო** (ასტრახანის ოლქი) შეეხო საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ვოლგა-კასპიის აუზის თევზის მოშენების მეურნეობის განვითარებასთან. ჩაებნენ რა შეჯიბრებაში მურმანსკის აუზის მებადურებთან, ვოლგა-კასპიის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე — დიდი ოქტომბრის 37-ე წლისთავისათვის შეასრულონ თევზეკრის წლიური გეგმა. მებადურები სიტყვას საქმით გამამტკიცებენ. აპრილის 20 დღეში, მიუხედავად იმისა, რომ გაზაფხულის თევზჭერა დიდი დაგვიანებით დაიწყო, დაჭერილი 1.100 ათასი ფუთი თევზი, 200 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

ვოლგა-კასპიის სათევზაო რაიონს, ამბობს ორატორი, შეუძლია მოგვაცეს მეტი თევზი, ვიდრე ახლა გვაძლევს, მაგრამ ეს შესაძლებლობა საკმარისად არ არის გამოყენებული.

დეპუტატმა განეკომ დააყენა შუა და სამხრეთ კასპიის წყლებში თევზის სარეწვების ფარეთოდ ათვისების საკითხი, რადგან იქაური მარაგი საშუალებას გვაძლევს ერთიორად — ერთისამად გავადიდოთ თევზის ჭერა.

დეპუტატი **ტ. ულჯაბაევი** (ალმა-ათის ოლქი) ილაპარაკობს, თუ რა წარმატებანი მოიპოვეს ტაჯიკეთის მშრომელებმა, რომლებიც წელს აღნიშნავენ თავიანთი რესპუბლიკის შექმნის 25-ე წლისთავს. მეოთხედი საუკუნის მანძილზე აქ აშენდა ბევრი ფაბრიკა, ქარხანა, შახტი, მაღარო, გაყვანილია რკინიგზისა და საავტომობილო მაგისტრალები, საჰაერო ტრასები. სოფლის მეურნეობა, რომელსაც წინათ სულს უხუთავდა მიწისა და წყლის მწვავე ნაკლებობა, დიდი მექანიზებული სოციალისტური მეურნეობა გახდა. აშენდა ათობით ახრი და სხვა საირიგაციო ნაგებობანი. ტაჯიკეთი საბჭოთა კავშირის ბამბის წარმოების ერთ-ერთი ძირითად ბაზად გადაიქცა.

ორატორი შემდეგ ეხება კადრების მომზადების საკითხს. რესპუბლიკაში არის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, მაგრამ სპეციალისტების რაოდენობა, რომელსაც ინსტიტუტი უშვებს, ვერ უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის საჭიროებას.

სიტყვას ამბობს დეპუტატი **ი. ე. კალნბერზინი** (ლატვიის სსრ). იგი ლაპარაკობს, თუ რა მიღწევები აქვს ლატვიის სსრ რესპუბლიკას მრეწველობის განვითარებაში, რა ღონისძიებებს ახორციელებენ ლატვიის კომუნისტური პარტია და რესპუბლიკის მთავრობა ჩამორჩენილ საწარმოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად.

1953 წელს პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში 103,3 პროცენტით შესრულდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ რესპუბლიკის მტს-ებში მუდმივ სამუშაოდ გაიგზავნა 2.800-ზე მეტი კაცი. სასოფლო-სამეურნეო არტელების ხელმძღვანელობას სათავეში ჩაუდგა 300-ზე მეტი ახალი ენერგიული მუშაკი. რესპუბლიკაში ხორციელდება ღონისძიებანი მომდინარე წლის სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესასრულებლად.

პარტიისა და ხალხის ნებით, ამბობს დეპუტატი **კ. კ. ნიკოლაევი** (სვერდლოვსკის ოლქი), ურალში 25 წლის მანძილზე შეიქმნა პირველხარისხოვანი მრეწველობა, რომელიც კვლავ განუხრელად ვითარდება და სერიოზულ დახმარებას უწევს ჩვენს ქვეყანას იმაში, რომ ახალ ტექნიკურ ბაზაზე შეაიაღოს სახალხო მეურნეობა.

დეპუტატი ნიკოლაევი აგრეთვე მხარს უჭერს წინადადებას, რომ დამტკიცდეს 1954 წლის ბიუჯეტი.

დეპუტატმა **გ. მ. ორლოვმა** — სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრმა — სწორად ცნო კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც დეპუტატებმა გამოთქვეს სამინისტროს მიმართ. იგი ლაპარაკობს ხე-ტყის დამზადების დარგში სამინისტროს მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე. სატყეო მრეწველობის მუშაკთა უდიდესი კოლექტივი, ამბობს ამხ. ორლოვი, ყოველ ღონეს იხმარს, რათა უმოკლეს ვადაში აღმოფხვრას ხე-ტყის დამამზადებელი მრეწველობის ჩამორჩენა.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები **ვ. ვ. ერმაკოვი** (რიაზანის ოლქი), **ა. გ. კოჩინიანი** (სომხეთის სსრ), **ვ. გ. ნაბიულინი** (ბაშკირეთის ასსრ).

ეროვნებათა საბჭოში

დღის 4 საათზე გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს მეხუთე სხდომა. თავმჯდომარის მაგიდას უსხედან ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები.

მთავრობის ლოჟებში არიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მინისტრები.

გრძელდება მოხსენების განხილვა სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

ეროვნებათა საბჭოში

კამათი სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ ამხ. მ. გ. პერვუხინის სიტყვა

(თბილისის — კალინინის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ).

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამ სესიის განსახილველად წარმოდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტში, როგორც დიდ სარკეში, ასახულია ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდებული პანორამა.

დასამტკიცებლად წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი გამოხატავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის თანმიმდევრულ პოლიტიკას მძიმე მრეწველობის — სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლის შემდგომი განვითარებისათვის, სახალხო მოხმარების საქონლის მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ჩვენი დიდი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის განვითარებისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია სახალხო მეურნეობის განვითარების 1954 წლის გეგმის საფუძველზე, ამიტომ ბუნებრივია, რომ როგორც მოხსენებაში, ისე დეპუტატთა გამოსვლებში დიდი ყურადღება ექცევა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ცალკეული დარგების ძდგომარეობას.

1954 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტში დიდი ადგილი ეთმობა სსრ კავშირის ელექტროფიკაციის შემდგომ განვითარებას.

ელექტროენერგეტიკული ბაზის განუწყვეტელი ზრდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების სწრაფი ტემპის განხორციელების აუცილებელი პირობაა. საბჭოთა ელექტროფიკაციის გეგმაზომიერი და სწრაფი განვითარებით განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს, როგორც არაერთგზის აღუნიშნავს დიდ ლენინს, მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტურის წინაშე, რადგან ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია ხელს უწყობს საზოგადოებრივი სიმდიდრის განუწყვეტლივ ზრდას, შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის აღმავლობას. საბჭოთა კავშირში წლითიწლით დიდდება ელექტროსადგურების სიმძლავრე, იზრდება ელექტროენერგიის გამომუშავება. 1953 წელს საბჭოთა კავშირის ელექტროსადგურებში ელექტროენერგია გამომუშავებული იყო 47 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წელს.

ჩვენი ქვეყნის ცალკე რაიონებში ელექტროსადგურების სიმძლავრე მომდინარე წლის დამდეგს ომამდელ 1940 წელთან შედარებით რამდენჯერმე გადიდდა; მაგალითად:

ცენტრალურ ენერგოსისტემაში	2-ჯერ
ურალის ენერგოსისტემაში	3,7 „
სამხრეთის ენერგოსისტემაში (დნეპრ-დონბასი)	1,7 „
ყარაგანდისაში	13 „
ნოვოსიბირსკისაში	6,8 „
აზერბაიჯანისაში	2,4 „
საქართველოსაში	2,7 „
უზბეკეთისაში	3,9 „
ლიტვისაში	3,0 „
ესტონეთისაში	3,5 „

ელექტროსადგურთა სიმძლავრეებისა და შესაბამისად ელექტროენერგიის გამომუშავების ასეთი მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, მრეწველობის, ქალაქებისა და სოფლის მეურნეობის ძმარდი მოთხოვნილება ცალკეულ რაიონებში მთლიანად ვერ არის უზრუნველყოფილი ელექტროენერგიით.

ენერგეტიკის განვითარება ჩამორჩება ლატვიის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის რესპუბლიკებსა და რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ მთელ რიგ ოლქებში. ამიტომ ზოგიერთი დეპუტატი თავის სიტყვაში სავსებით სამართლიანად აკრიტიკებდა ელექტროსადგურების სამინისტროს ცალკეულ რესპუბლიკებში ენერგეტიკულ სიმძლავრეთა გაფართოების არასაკმაო ტემპისათვის და შემოჰქონდა წინადადებანი ელექტროსადგურთა მშენებლობის დაჩქარების შესახებ.

იმ მიზნით, რომ ელექტროენერგიით უზრუნველყოთ მზარდი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და საქალაქო მეურნეობის საჭიროებანი, ხუთწლიანი გეგმით ჩვენ ვახორციელებთ ელექტროფიკაციის გრანდიოზულ პროგრამას. შენდება და ფართოვდება 711 ელექტროსადგური, რომელთა მშენებლობის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე 75 პროცენტით გადიდდება.

მარტო მიმდინარე წელს ახლად გამომუშავდება 4.343 ათასი კილოვატი, ანუ 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე „გოელროს“ გეგმით იყო გამომუშავებული სსრ კავშირის ელექტროფიკაციის პირველი ათი წლის განმავლობაში.

1954 წლის სახალხო მეურნეობის გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია კაპიტალდაბანდებანი ყველა სამინისტროს ელექტროსადგურთა და ქსელთა მშენებლობისათვის 13 მილიარდ მანეთზე მეტი, ე. ი. 21 პროცენტით მეტი, ვიდრე 1953 წელს.

ახორციელებენ რა ელექტროსადგურების მშენებლობის ასეთ გრანდიოზულ გეგმას, პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებენ არა მარტო ენერგეტიკულ სიმძლავრეთა ყველაზე უფრო სწრაფ განაწილებას ჩვენი ქვეყნის ცალკეული რაიონების მიხედვით, არამედ აგრეთვე ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების უკეთ გამოყენებას და ყველაზე იაფი ელექტროენერგიის მიღებას.

ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერგიის გამომუშავება, ელექტროენერგიისა და თბოენერგიის კომბინირებული წარმოება თბოელექტროცენტრალებში და ისეთი მოწყობილობის დანერგვა თბოელექტროსადგურებში, რომელიც მაღალი წნევისა და მაღალი ტემპერატურის პირობებში მუშაობს, ელექტროენერგიის ყველაზე ეკონომიური წარმოების ძირითადი გზებია.

ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებით მდიდარია ჰიდროენერგეტიკული რესურსებით, რომელთა გამოყენება ფართო ბაზას შექმნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი სწრაფი ზრდისა და ჩვენი ქვეყნის ახალი სამრეწველო რაიონების განვითარებისათვის.

საორიენტაციო გამოანგარიშებით, ჩვენი სამშობლოს მრავალ მდინარეზე შეიძლება აიგოს ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც გამოიმუშავებენ 1.700 მილიარდ კილოვატსაათზე მეტ ელექტროენერგიას წელიწადში, ე. ი. 11-ჯერ მეტს, ვიდრე ამჟამად იძლევა სსრ კავშირის ყველა ელექტროსადგური.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჩვენი ქვეყნის კოლოსალური ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენებას, ამიტომ ჩვენში გაჩაღებულია ჰიდროელექტროსადგურების დიდი მშენებლობა.

შენდება მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურები ვოლგაზე, მთავრდება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე კამაზე, წარმატებით მიმდინარეობს კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დნეპრზე. შენდება ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგური მდინარე ანგარაზე. მიმდინარეობს ნოვოსიბირსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე ობზე. მთელი რიგი ახალი ელექტროსადგურები შენდება აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებსა და რაიონებში.

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის სარგებლიანობა სავსებით ცხადია, რადგან ჰიდროელექტროსადგურებში გამომუშავებული ელექტროენერგიის ღირებულება გაცილებით ნაკლებია თბოელექტროსადგურებში გამომუშავებულზე.

1953 წელს ელექტროენერგიის თვითღირებულება ელექტროსადგურების სამინისტროს თბოელექტროსადგურებში შეადგენდა 10 კაპიკს კილოვატსაათში, ხოლო ჰიდროელექტროსადგურებში დაახლოებით 2 კაპიკს კილოვატსაათში, ე. ი. ხუთჯერ იაფი იყო.

ჰიდროელექტროსადგურებისა და თბოელექტროსადგურების მშენებლობაზე გაწეული ხარჯების შედარებისას ზოგჯერ არ ითვალისწინებენ ქვანახშირის შახტების მშენებლობის ღირებულებას, რომლებიც საჭიროა აშენდეს თბოელექტროსადგურების სათბობით უზრუნველყოფისათვის, და ამიტომ გამოჰყავთ არასწორი დასკვნა და ფიქრობენ, რომ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა მუდამ უფრო ძვირია, ვიდრე თბოელექტროსადგურებისა.

ხოლო თუ შევადარებთ სახელმწიფოს ხარჯებს ჰიდროელექტროსადგურებისა და თბოელექტროსადგურების მშენებლობისათვის ჩვენი ქვეყნის სათბობის ბაზის სათანადო გაფართოების გათვალისწინებით, მაშინ ერთი დადგმული კილოვატი ჰიდროელექტროსადგურებში უფრო ძვირი როდი ღირს, ვიდრე თბოელექტროსადგურებში, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში უფრო ნაკლებიც.

მაგალითად, მოსკოვის ოლქის ქვანახშირით მომუშავე ჩერეპეტის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სიმძლავრის ერთი კილოვატის ღირებულება ქვანახშირის შახტებში დაბანდებული სახსრების გათვალისწინებით შეადგენს 5.340 მანეთს, ხოლო კუიბიშევის ჰესის დადგენილი კილოვატის ღირებულება — 5 ათასამდე მანეთს.

ელექტროენერგიის გამომუშავება ჰიდროელექტროსადგურებში შეაძლებელს ხდის სათბობის ეკონომიას. მაგალითად, ელექტროენერგიის ისეთი რაოდენობით გამოსამუშავებლად, რასაც კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურები მოგვცემენ, საჭირო იქნებოდა ყოველწლიურად დაგვეხარჯა 10 მილიონამდე ტონა მაღალხარისხოვანი ქვანახშირი.

გარდა ამისა, ჰიდროელექტროსადგურების აგება, როგორც წესი, აუმჯობესებს ნაოსნობას მდინარეებზე, აგრეთვე შესაძლებლობას გვაძლევს ბევრ რაიონში განვახორციელოთ მიწების მორწყვა, რაც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობის გადიდებას.

მოყვანილი ცნობები დამაჯერებლად მოწმობენ, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავაფართოოთ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, რათა გამოვიყენოთ სსრ კავშირის ევროპის ნაწილის, ციმბირის, შუა აზიისა და ამიერკავკასიის მდინარეების უზარმაზარი ჰიდროენერგეტიკული რესურსები ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების ინდუსტრიული ბაზის მნიშვნელოვანი გაფართოებისათვის.

ჰიდროელექტროსადგურებთან ერთად ყველგან, სადაც მიზანშეწონილია, ჩვენში შენდება თბოელექტროცენტრალები, რომლებიც გამომუშავებულ ელექტროენერგიასთან ერთად საწარმოებსა და ქალაქებს აძლევენ სითბოს ორთქლისა და ცხელი წყლის სახით მრეწველობის ტექნოლოგიური საჭიროებისათვის, საცხოვრებელი შენობების გათბობისა და საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის.

ასეთი ტიპის ელექტროსადგურები დასახარჯავი სათბობის გამოყენების კოეფიციენტს ადიდებენ 2-2,5-ჯერ ჩვეულებრივ ელექტროსადგურებთან შედარებით.

თბოფიკაციის დარგში ჩვენს ქვეყანას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში, თბოფიკაციის აგრეგატების ხვედრითი წონა შეადგენს საბჭოთა კავშირის თბოელექტროსადგურების მთელი სიმძლავრის 30-მდე პროცენტს.

მაგრამ ყველა თბოელექტროცენტრალი მთლიანად როდი იყენებს თავის შესაძლებლობებს სითბოს მოცემის მხრივ. ამ ელექტროსადგურების თბოფიკაციის სიმძლავრეთა 40-მდე პროცენტი არ არის გამოყენებული საერთო-საქალაქო თბოქსელთა არასაკმაო განვითარების გამო. ამავე დროს ქალაქებსა და დაბებში საცხოვრებელი სახლების გათბობაზე იხარჯება დიდძალი სათბობი, რომელსაც წვავენ მცირე საქვაბე დანადგარებში მარგი მოქმედების დაბალი კოეფიციენტით.

ამ თბოფიკაციის სიმძლავრეთა დატვირთვა საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად დამატებით დავზოგოთ 850 ათასი ტონა პირობითი სათბობი ელექტროსადგურებში და, გარდა ამისა, 500 ათასი ტონა მცირე კომუნალურ საქვაბეებში სათბობის ხარჯვის შემცირების გზით. მაშასადამე, ელექტროსადგურების მოქმედ თბოსიმძლავრეთა სრული გამოყენება საშუალებას მოგვცემს დავზოგოთ 1.350 ათასი ტონა სათბობი წელიწადში.

ამრიგად, თბოელექტროსადგურების მშენებლობასთან ერთად საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ თბოქსელთა მშენებლობა, რადგან თბოფიკაცია, სათბობის მომჭირნეობის გარდა, მნიშვნელოვნად ეუმჯობესებს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს.

მოქმედი ელექტროსადგურების თბოფიკაციის განვითარების დიდი, ჯერ გამოუყენებელი შესაძლებლობებია ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიცაა ყაზანი, კიროვი, კუიბიშევი, პენზა, სარატოვი, ჩელიაბინსკი, მოლოტოვი, კრასნოიარსკი, ნოვოსიბირსკი, ომსკი, კიევი, დნეპროძერჟინსკი, ხარკოვი და მინსკი.

ეს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში დიდი რეზერვია, რომელიც უახლოეს წლებში უნდა გავანაღოთ.

ელექტროსადგურების სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საქალაქო საბჭოების ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ქალაქებისა და დაბების თბოფიკაციის განხორციელებას.

ახალი ელექტროსადგურების მშენებლობასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს აგრეთვე მაღალვოლტიანი ხაზების დიდი მშენებლობა ელექტროსადგურებიდან ელექტროენერგიის გადასაცემად მოხმარების რაიონებში.

ამჟამად ჩვენში უკვე შექმნილია დიდი ენერგეტიკული სისტემები, რომლებსაც აქვთ საერთო ელექტროქსელები, სახელდობრ:

ურალის ენერგოსისტემა, რომელიც აერთიანებს ჩელიაბინსკის, სვერდლოვსკისა და მოლოტოვის ოლქების ელექტროსადგურებს;

სამხრეთისა — აერთიანებს დონბასის, დნეპრისა და როსტოვის ოლქის ელექტროსადგურებს;

ცენტრალური — აერთიანებს ქალაქ მოსკოვის, მოსკოვის, ტულის, ივანოვოს, ვლადიმირის, იაროსლავლისა და გორკის ოლქების ელექტროსადგურებს.

კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურებიდან მოსკოვში ელექტროენერგიის გადასაცემად შენდება 400 ათასი ვოლტი ზემაღალი ძაბვის ელექტროდენის ათასამდე კილომეტრი სიგრძის ელექტროგადაცემის ხაზები.

კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების ამუშავების შემდეგ შეიქმნება საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა, რომელიც უდიდესი იქნება მსოფლიოში.

საჭიროა გავაფართოოთ ელექტროსადგურთა დაჯგუფება და ცალკეულ მომუშავე ენერგოსისტემების გაერთიანება ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებშიც.

მეურნეობის საბჭოთა სოციალისტური სისტემა, სადაც წარმოების ყველა საშუალება განსაზოგადოებულია და ხალხს ეკუთვნის, ქმნის იმის პირობებს, რომ რაც შეიძლება უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ენერგოსისტემებში გაერთიანებულ ელექტროსადგურთა სიმძლავრენი და უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის საიმედო ელექტრომომარაგებას.

ენერგეტიკის შემდეგი განვითარების საკითხებთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის განვითარებას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმებმა დასახეს სოფლის მეურნეობის უსწრაფესი აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ამ საერთო-სახალხო ამოცანის გადაწყვეტაში დიდი როლი ეკუთვნის სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესების ელექტროფიკაციას.

ახლა ელექტროფიცირებულია ყველა კოლმეურნეობის მხოლოდ 23 პროცენტი, ამასთან ელექტროფიცირებულ კოლმეურნეობათა დაახლოებით მესამედი ელექტროენერგიას იყენებს მხოლოდ განათებლად და არ იყენებს საწარმოო მიზნებისათვის. ამიტომ საჭიროა გავაძლიეროთ კოლმეურნეობათა ელექტროფიკაციის ტემპი როგორც რაიონულ ენერგოსისტემებთან, სამრეწველო და კომუნალურ ელექტროსადგურებთან შეერთების, ისე ადგილობრივ ელექტროსადგურთა აგების გზით. 1954-1955 წლების განმავლობაში დასახულია სახელმწიფო ენერგოსისტემებს შეუერთდეს კოლმეურნეობებიაა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ამ დიდ საქმეში კოლმეურნეობებს სერიოზული დახმარება უნდა გაუწიონ ელექტროსადგურთა და სამრეწველო საწარმოთა მუშაკებმა. ამასთანავე საჭიროა განვავითაროთ სოფლის ელექტროსადგურების მშენებლობა და გამოვიყენოთ ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსები.

ამასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის გამოვიყენოთ ქარის ენერგია, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც ენერგიის მიღების სხვა წყაროები არ არის. ამ საქმეში ძალიან ჩამოვრჩებით. რევოლუციამდე ჩვენს ქვეყანაში იყო 300 ათასამდე ქარძრავა, რომელთა საერთო სიმძლავრე 1,5-2 მილიონ ცხენძალას შეადგენდა. ახლა დარჩა მხოლოდ 29,5 ათასი ქარძრავა და ქარის წისქვილი, რომელთა სიმძლავრე დაახლოებით 167 ათას ცხენძალას შეადგენს, ე. ი. მათი რაოდენობა და სიმძლავრე ერთიანად და უფრო მეტად შემცირდა.

ქარის ენერგიის გამოყენებისადმი ასეთი არასწორი დამოკიდებულება ძირეულად უნდა შეიცვალოს. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სერიოზული ღონისძიებანი უნდა განახორციელონ, რათა მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ქარძრავებისა და ქარის ელექტროსადგურების გამოყენება სოფლის მეურნეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს ქვეყანაში მოპოვებული უდიდესი წარმატებანი ინდუსტრიალიზაციისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში შესაძლებელი გახდა საბჭოთა მანქანათმშენებლობის — მძიმე ინდუსტრიის გულის განუწყვეტელი განვითარების მეოხებით.

საბჭოთა მანქანათმშენებლები სახალხო მეურნეობას აძლევენ ყველა საჭირო სახეობის მოწყობილობას, ხელსაწყოებსა და აპარატურას. ეს შეიძლება თვალნათლივ ვაჩვენოთ ელექტრომანქანათმშენებლობის განვითარების მაგალითით.

ძირითად სახეობათა ელექტროტექნიკური მოწყობილობის წარმოება 1953 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა:

ტურბინგენერატორების ხაზით	4-ჯერ
ჰიდროგენერატორების „	3-ჯერ
ელექტრომოტორების „	1,65-ჯერ
კაბელის ნაკეთობათა „	1,8-ჯერ

ჩვენი მანქანათმშენებელი ქარხნები, როგორც წესი, უშვებენ მაღალი ხარისხის მოწყობილობას, რომელიც გამოირჩევა დიდი საიმედოობით, წარმადობით და დიდი ეკონომიურობით.

მაგრამ ჯერ კიდევ არის ცალკეული საწარმოები, რომლებიც, ადიდებენ რა მოწყობილობის წარმოებას, ასუსტებენ ყურადღებას მისი ხარისხისადმი.

მაგალითად, ენერგომანქანათმშენებელი ქარხნები კარგ, მაღალხარისხოვან მოწყობილობასთან ერთად უშვებენ დაუდევრად დამზადებულ ელექტრომანქანებს, ტურბინებსა და ქვაბებს, რომლებიც ნაადრევად გამოდის მწყობრიდან და იწვევს ელექტროსადგურების მუშაობის შეფერხებას.

მაგალითად, ქარხანა „ელექტროსილა“ — უდიდესი ელექტრომანქანათმშენებელი ქარხანა, რომელმაც აითვისა თანამედროვე პირველხარისხოვანი დიდი ელექტრომანქანების გამოშვება, უკანასკნელ წლებში ურიგდებოდა ცალკეული ტურბინგენერატორების გამოშვებას არსებითი დეფექტებით, რაც მათი ექსპლოატაციის პროცესში გამომჟღავნდა.

ლენინგრადის ლითონის ქარხანა, რომელსაც, უეჭველია, დიდი დამსახურება მიუძღვის ორთქლის და ჰიდრავლიკური მძლავრი ტურბინების წარმოების ორგანიზაციის საქმეში, აგრეთვე ურიგდება მაღალი წნევის ცალკეული ორთქლის ტურბინების გამოშვებას სერიოზული დეფექტებით.

არაკეთილხარისხოვანი მოწყობილობის გამოშვების ძირითადი მიზეზია წარმოების დადგენილი ტექნოლოგიის დარღვევა და მანქანების ცალკეული კვანძების კონსტრუქციული ხელმოუთავებლობა.

გამოსაშვები მოწყობილობის ხარისხზე უარყოფითი გავლენა აქვს აგრეთვე ცალკეული ქარხნების მუშაობის არათანაბარობას, იერიშობანას, რომელსაც თვის უკანასკნელ დღეებში ურიგდებიან დამზადებული მოწყობილობის აწყობისა და გამოშვებისას.

საწარმოთა ხელმძღვანელებმა უნდა აღმოფხვრან ისეთი მავნე პრაქტიკა, როცა ხარისხის საზიანოდ უშვებენ ხელმოუთავებელ, დაუდევრად აწყობილ მოწყობილობას, ოღონდ იგი აჩვენონ მოცემული თვის გეგმის შესრულებაში. წარმოების გეგმის ასეთი ფორმალური შესრულება საარგებლობის ნაცვლად ზარალს აძლევს სახელმწიფოს და შეუთავსებელია წარმოების სოციალისტურ ორგანიზაციასთან.

ამხანაგო დეპუტატებო! ვეხებით რა მრეწველობის მუშაობას და იმას, თუ როგორ ასრულებს იგი თავის ვალდებულებებს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე, არ შეიძლება გვერდი აავაროთ სატყეო მრეწველობის მუშაობას. როგორც სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის მოხსენებაში, ისე აგრეთვე ცალკეული დეპუტატების სიტყვებში აღნიშნული იყო სატყეო მრეწველობის მუშაობის დიდი ნაკლოვანებანი.

1953 წელს ხე-ტყის გამოზიდვის გეგმა შესრულდა მხოლოდ 85 პროცენტით, და მრეწველობის ამ დარგს 2,2 მილიარდი მანეთი ზარალი აქვს.

მერქნის თვითღირებულება გეგმით გათვალისწინებული სამი პროცენტით შემცირების ნაცვლად მნიშვნელოვნად გადიდდა 1952 წელთან შედარებით.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა დიდ დახმარებას უწევენ სატყეო მრეწველობას მანქანებითა და მექანიზმებით აღჭურვაში.

ამის შედეგად უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მექანიზებულ სამუშაოთა ხვედრითი წონა ტყის ჩეხვაზე გადიდდა ერთიორად და მიაღწია 78 პროცენტს, ხე-ტყის მიზიდვაზე — 1,8-ჯერ და შეადგენს 57 პროცენტს და გამოზიდვაზე — 2,25-ჯერ და შეადგენს 71 პროცენტს. მაგრამ შრომის ნაყოფიერება ხე-ტყის დამზადებაზე განვლილ სამ წელიწადში მხოლოდ 10 პროცენტით გადიდდა. ეს აიხსნება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ სატყეო მრეწველობის ხელმძღვანელნი საჭირო ყურადღებას არ აქცევენ ხე-ტყის დამზადებაზე წარმოებისა და მუშების შრომის ორგანიზაციის საკითხებს. სატყეო-სამრეწველო მეურნეობების განკარგულებაში გამოყოფილ მექანიზაციის სამუალებს ცუდად იყენებენ იმის შედეგად, რომ აგვიანებენ მანქანების შეკეთებას, არ სრულდება ხე-ტყის საზიდი მექანიზებული გზებისა და სარემონტო სახელოსნოების მშენებლობის გეგმები, აგრეთვე მექანიზატორთა კვალიფიციური კადრების ნაკლებობის შედეგად.

ხე-ტყის დამზადებაზე მექანიზაციის განხორციელება მოითხოვს წარმოების ორგანიზაციისა და შრომის ორგანიზაციის სერიოზულ გარდაქმნას ხე-ტყის დამზადებაზე, მუშაობის იმ მოძველებული ორგანიზაციის ლიკვიდაციას, რომელიც შეიქმნა ხელის შრომისა და საცხენო ტრანსპორტის გამოყენების ბაზაზე.

მაგრამ სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტრო, კომბინატების, ტრესტებისა და სატყეო-სამრეწველო მეურნეობების მუშაკები ამას საკმაო ყურადღებას არ აქცევენ, რის შედეგად ხე-ტყის გამოზიდვის მოცულობა, შრომის ნაყოფიერება ხე-ტყის დამზადებაზე და მექანიზმების გამოყენება მკვეთრად ჩამორჩება დაწესებულ გეგმებს.

სატყეო მრეწველობის მუშაობის სერიოზული ნაკლია დიდი ჩამორჩენა ხე-ტყის დამზადებაზე ცალკეული საწარმოო პროცესების მექანიზაციაში.

1953 წელს მიღწეულია ტყის მექანიზებული ჩეხვის შედარებით მაღალი დონე; ამავე დროს განსხეპა ხელით წარმოებს. ამიტომ თვითეულ ელექტრომხერხავზე მოდის 6-8 მსხეპავი, რაც მკვეთრად აძცირებს შრომის ნაყოფიერებას ხე-ტყის დამზადებაზე.

განსხეპა მეტად შრომატევადი სამუშაოა და შეადგენს ხე-ტყის დამზადებაში მთელი შრომის 15-მდე პროცენტს. მერქნის ქერქის გაცლა, ტყესაკაფთა გაწმენდა და სხვა დამხმარე სამუშაოები, რაც აგრეთვე ხელით წარმოებს, შრომის მთელი მოცულობის 40 პროცენტზე მეტს შეადგენს. ამ დამხმარე სამუშაოებზე 1953 წელს 70 მილიონ კაცდღეზე მეტი დაიხარჯა. ზემოჩამოთვლილ სამუშაოთა, აგრეთვე ხე-ტყის დატვირთვის მექანიზაცია ხე-ტყის დამზადების მრეწველობის შრომის ნაყოფიერების გადიდების უმნიშვნელოვანესი წყაროა.

სატყეო-სამრეწველო მეურნეობებში, რომლებმაც ხე-ტყის დამზადება მოაწყეს მთელ წელიწადს მომუშავე მექანიზებული გზების ბაზაზე და უზრუნველყოფენ მექანიზმების მოვლას, ხე-ტყის დამზადების გეგმა, როგორც წესი, სრულდება, შრომის ნაყოფიერება და მექანიზმების გამომუშავება 1,5—2-ჯერ მეტია, ვიდრე საშუალოდ სატყეო მრეწველობის სამინისტროში. იქ კი, სადაც წარმოების და შრომის სწორ ორგანიზაციას ნაკლები ყურადღება ექცევა, მუშაობა ცუდად მიმდინარეობს, ხე-ტყის დამზადება იფუშება.

ნება მიბოძეთ შევაჩერო თქვენი ყურადღება და მაგალითისათვის მოვიყვანო მონაცემები ორი სატყეო-სამრეწველო მეურნეობის 1953 წლის მუშაობაზე. ეს მეურნეობანი ერთ ადმინისტრაციულ რაიონში არიან და მეზობელ ტყის მასივებში მუშაობენ.

კრესტცის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა ხე-ტყეს ამზადებს მთელი წლის განმავლობაში მომუშავე ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ბაზაზე და აქვს ერთი სატყეო პუნქტი და ოთხი საოსტატო უბანი.

ვალდაის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა ხე-ტყეს ამზადებს ვიწროლიანდაგიანი გზისა და სეზონურად მომუშავე საავტომობილო გზების ბაზაზე და აქვს 5 სატყეო პუნქტი და 13 საოსტატო უბანი.

ამ სატყეო-სამრეწველო მეურნეობათა მუშაობის მონაცემები შემდეგია:

	კრესტცის სატყეო სამრეწველო მეურნეობა	ვალდაის სატყეო სამრეწველო მეურნეობა
ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავე მუშათა რაოდენობა	767	713
გამოზიდულია 1953 წელს	235 ათასი კუბმეტრი	115 ათასი კუბმეტრი
ხე-ტყის გამოზიდვის წლიური გეგმა შესრულებულია	111,8 პროცენტით	58,7 პროცენტით
1 მუშის კომპლექსური გამომუშავება წელიწადში	307 კუბმეტრი	154 კუბმეტრი
1 სიობრივი ელექტროენერგიის გამომუშავება წელიწადში	4,1 ათასი კუბმეტრი	0,9 ათასი კუბმეტრი
1 სიობრივი ელექტროჯალამბრის გამომუშავება წელიწადში	8,5 ათასი კუბმეტრი	1,9 ათასი კუბმეტრი
1 კუბმეტრი მერქნის თვითღირებულება	67 მან. 44 კაპ.	86 მან. 75 კაპ.

წლიური მუშაობის შედეგად კრესტცის სატყეო-სამრეწველო მეურნეობამ 590 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო, ხოლო ვალდაის სატყეო-სამრეწველო მეურნეობას 4.406 ათასი მანეთი ზარალი აქვს.

კრესტცის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის წარმატებანი იმით აიხსნება, რომ ამ მეურნეობაში შექმნილია ხე-ტყის დამზადების წარმოების ნორმალური ორგანიზაციის ყველა საჭირო პირობა: აგებულია ვიწროლიანდაგიანი გზა, სარემონტო სახელოსნოები, კეთილმოწყობილია მუშათა დაბა და ყველა უბანი დაკომპლექტებულია მექანიზატორთა მუდმივი მომზადებული კადრებით.

სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტროს ათობით სატყეო-სამრეწველო მეურნეობა აქვს არხანგელსკის, ვოლოგდის, მოლოტოვის, კიროვის, ტომსკის ოლქებში, კომისა და უდმურტეთის ასს რესპუბლიკებში. კარელიო-ფინეთის სს რესპუბლიკასა და სხვა რაიონებში, სადაც არის მთელი წლის განმავლობაში მოქმედი მექანიზებული გზები, სატყეო-სამრეწველო მეურნეობანი დაკომპლექტებულია მექანიზატორთა კვალიფიციური კადრებით, შექმნილია მექანიზმების შეუფერხებელი მუშაობის საჭირო პირობები, ამის შედეგად ეს სატყეო-სამრეწველო მეურნეობანი ასრულებენ ხე-ტყის დამზადების გეგმას და უზრუნველყოფილია შრომის დიდი ნაყოფიერება.

მაშასადამე, სატყეო მრეწველობის ჩამორჩენის დაძლევისათვის და ხე-ტყის დამზადების დასახული ტემპის შესრულებისათვის საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას ხე-ტყის დამზადების მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვა, კომპლექსური მექანიზაცია და

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

დეპუტატ ამხ. მ. გ. ვერვუხინის სიტყვის დასასრული

ციკლური მეთოდით მუშაობის დანერგვა ყველა სატყეო-სამრეწველო მეურნეობაში.

სატყეო მრეწველობის მუშაკებმა უმოკლეს ვადაში უნდა აღმოფხვრან ჩამორჩენა ხე-ტყის დამზადებაში, უზრუნველყონ მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესება და სატყეო-სამრეწველო მეურნეობებში მექანიზმების გამოკენება, აგრეთვე შექმნან შრომის ნაყოფიერების ზრდის საჭირო პირობები; მოაწყონ ახალ დიდ სატყეო-სამრეწველო მეურნეობათა მშენებლობა ჭარბი ტყეების რაიონებში და უახლოეს წლებში დაამთავრონ ამ რაიონებში ხე-ტყის დამზადების ბაზების გადაადგილება; გააუმჯობესონ მექანიზატორთა კადრების მომზადება სატყეო-სამრეწველო მეურნეობებში და ამ გზით უზრუნველყონ ხე-ტყის დამზადების დაწესებული გეგმების შესრულება.

ამ ამოცანის განხორციელებაში სატყეო მრეწველობის მუშაკებს დიდი დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვამ ცხადყო, რომ დეპუტატები — ხალხის რჩეულნი და მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებენ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომლის მიზანია ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების უსაზღვროდ ერთგული საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებული შრომით განახორციელებს მშენებლობის გრანდიოზულ გეგმებს, რომლებიც ასახულია 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, და ჩვენი ქვეყანა ახალ წარმატებებს მოიპოვებს კომუნიზმის მშენებლობაში! **(ხანგრძლივი ტაში).**

ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. დ. ნაზარენკოს მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! ეროვნებათა საბჭო სსრ კავშირის კონსტიტუციის 35-ე მუხლის შესაბამისად აირჩიეს სსრ კავშირის მოქალაქეებმა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქებსა და ეროვნულ ოკრუგებში.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა 639 საარჩევნო ოლქი.

1954 წლის 14 მარტს არჩევნები მოეწყო 639-ვე საარჩევნო ოლქში. კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის წარმომადგენლებმა, რომლებიც დასახელებული იყვნენ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად. ყველა საარჩევნო ოლქში მიიღეს ხმების უდიდესი უმრავლესობა და არჩეულ იქნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად.

ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიამ სსრ კავშირის კონსტიტუციის 50-ე მუხლის საფუძველზე შეამოწმა ეროვნებათა საბჭოს თვითეული დეპუტატის რწმუნებანი. განიხილა რა დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის ოქმები და საოლქო საარჩევნო კომისიების ხმის მიცემის ოქმები, აგრეთვე სხვა მასალები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წარმოადგინა, ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიამ გამოარკვია, რომ არჩევნები 639-ვე საარჩევნო ოლქში მოეწყო სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, საოლქო საარჩევნო კომისიებსა და ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიაში არავითარი საჩივარი და განცხადება სსრ კავშირის კონსტიტუციის ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების დარღვევის შესახებ არ შემოსულა.

ამრიგად, ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიას მიაჩნია, რომ ეროვნებათა საბჭოს ყველა დეპუტატი არჩეულია სწორად და არ არის არავითარი საფუძველი არჩევნების კასაციისათვის რომელიმე საარჩევნო ოლქში. (ტაში).

მოგვყავს მონაცემები ეროვნებათა საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს 1954 წლის მარტში ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 120.750.816 ამომრჩეველი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1950 წლის არჩევნებთან შედარებით ამომრჩეველთა რაოდენობა გადიდდა 9.634.443-ით.

სიებში შეტანილ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო 120.727.826 კაცმა, ანუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,98 პროცენტმა. ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო ოლქში კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 120.539.860 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის 99,84 პროცენტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ყველგან ჩაიარა მოსახლეობის უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის, მაღალი ორგანიზებულობისა და აქტივობის ვითარებაში და წარმოადგენდა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მისი მჭიდრო დარაზმულობის დიდებულ დემონსტრაციას. **(ხანგრძლივი ტაში).**

ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის ამომრჩეველებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობის, მისი ურღვევობისა და ურყეობის მკაფიო გამოვლინებაა. საბჭოთა ხალხების დიად თანამეგობრობას, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის განმტკიცებასა და განვითარებას ახასიათებს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების მრავალეროვანი შემადგენლობა. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებს შორის არიან: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, უზბეკები, ყაზახები, ქართველები, აზერბაიჯანელები, ლიტველები, მოლდაველები, ლატვიელები, ყირგიზები, ტაჯიკები, სომხები, თურქმენები, ესტონელები, კარელები და ფინელები, თათრები, ბაშკირები, ბურიატები და მონღოლები, დაღისტნის ეროვნებანი, ყაბარდოელები, ყარა-კალფაკები, კომი, მარები, მორდველები, ოსები, უდმურტები, ჩუვაშები, იაკუტები, აფხაზები, ალტაელები, ტუველები, ადიღეველები, ხაკასები, ებრაელები, ევენკები, აგრეთვე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოში პირველად კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე განხორციელდა მოქალაქეთა ჭეშმარიტად სრული თანასწორუფლებიანობა სახელმწიფო, სამეურნეო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში, განურჩევლად მათი ეროვნებისა და რასისა. ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, მჭიდროდ დარაზმული ერთიან ძმურ ოჯახად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნისტური საზოგადოების აშენების გზით.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, რომელიც შობილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით, გამოჭედილია ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის მიერ, გამოწრთობილი და ნაცადია ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, — არის საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს უძლეველი ძალის წყარო, მოძმე რესპუბლიკების ყველა წარმატების პირობა, ჩვენი საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა.

საბჭოთა ხალხის მტრებს არაერთხელ უცდიათ ძირი გამოეთხარათ ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობისათვის, გაეთიშათ ისინი და ამით შეესუსტებინათ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება. მაგრამ ეს ცდები ამაო აღმოჩნდა. მტრები ვამხილეთ და მოვსპეთ. არ არის მსოფლიოში ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს დაარღვიოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა დიადი ძმური მეგობრობა, რადგან ეს მეგობრობა მოიპოვეს თვითონ ხალხებმა, იგი გამოხატავს მათს ძირეულ ინტერესებსა და მისწრაფებებს, განმტკიცებულია სისხლით სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის წლებში, შედუღაბებულია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის საერთო ბრძოლით.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის ერთ-ერთი მკაფიო და შეესანიშნავი გამოვლინებაა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი, რომელიც წელს აღინიშნება. ეს არა მარტო უკრაინელი და რუსი ხალხების, არამედ ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხის ჭეშმარიტად ეროვნული დღესასწაულია.

ამხანაგო დეპუტატებო! ეროვნებათა საბჭოში არჩეულია 178 ქალი, რაც ეროვნებათა საბჭოს ყველა დეპუტატის რაოდენობის 27,9 პროცენტს შეადგენს. დეპუტატებად არჩეულ ქალებს შორის არიან საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის წარმომადგენლები. საბჭოთა სახელმწიფოში ქალები აქტიურად მონაწილეობენ სამეურნეო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში, სახელმწიფოს მართვაში. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატ ქალთა შორის არის: პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების 32 ხელმძღვანელი მუშაკი, საშუალო სკოლის 34 მასწავლებელი, 12 ექიმი, 12 ინჟინერი, 11 აგრონომი, 23 წარმოების მუშაკი, 37 კოლმეურნე, რომელთაგან 8 კოლმეურნეობის თავმჯდომარეა.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაში არჩეულია 130 მუშა, 106 გლეხი. ეს მონაცემები მოწმობენ, რომ ურღვევია და სულ უფრო მტკიცდება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, რის საფუძველია მათი ინტერესების ერთიანობა, მათი ბრძოლისა და შრომის მიზნის ერთობა.

ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობაში 117 დეპუტატი სოფლის მეურნეობის მშრომელია. მათ შორის არის: მტსებისა და საბჭოთა მეურნეობების 10 დირექტორი, 14 აგრონომი, ზოოტექნიკოსი და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტი, 10 ტრაქტორისტი და კომბაინერი, კოლმეურნეობათა 53 თავმჯდომარე, 30 მერგოლური, ბრიგადირი, ფერმის გამგე.

ეროვნებათა საბჭოს 116 დეპუტატი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებია. დეპუტატებად არჩეული არიან თვალსაჩინო მეცნიერები, მსახიობები, მწერლები, ინჟინრები, პედაგოგები, ექიმები.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების შემადგენლობაში შედიან ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო მუშაკები, აგრეთვე საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში საბჭოთა არმიის წარმომადგენელთა არჩევა ცხადყოფს, რომ საბჭოთა ხალხს მხურვალედ უყვარს თავისი არმია, რომელიც საიმედოდ იცავს ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებს და საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას. **(ტაში).**

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა უმრავლესობა — 553 კაცი, ანუ 86,5 პროცენტი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. დეპუტატთა შორის არის 19 საბჭოთა კავშირის გმირი, 22 სოციალისტური შრომის გმირი, 39 სტალინური პრემიის ლაურეატი. სტალინური პრემიის ლაურეატთა შორის არიან ცნობილი მეცნიერები, აგრეთვე მუშები და კოლმეურნეები — წარმოების ნოვატორები.

საყურადღებოა მონაცემები, თუ როგორია ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობა განათლების მიხედვით. 639 დეპუტატიდან 294-ს, ანუ 46 პროცენტს აქვს უმაღლესი განათლება, 51-ს, ანუ 8 პროცენტს აქვს დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება, 113-ს, ანუ 17,7 პროცენტს, — საშუალო განათლება, 181-ს, ანუ 28,3 პროცენტს, — დაუმთავრებელი საშუალო და დაწყებითი განათლება.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატები ასაკის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებიან: 23-30 წლისა — 72 დეპუტატი, 31-40 წლისა — 147, 41-50 წლისა — 250, 51-60 წლისა — 145 და 60-ზე მეტი წლისა — 25 დეპუტატი.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებად არჩეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 485 წევრი და წევრობის კანდიდატი და 154 უპარტიო.

კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვნად ხმის მიცემამ განსაკუთრებული ძალითა და მკაფიოდ გვიჩვენა პარტიის, მთავრობისა და ხალხის დიადი ერთიანობა, ცხადყო, რომ საბჭოთა ადამიანები მზად არიან კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლონ კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯის ძლიერების განმტკიცებისათვის, კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სამანდატო კომისიამ შეამოწმა ეროვნებათა საბჭოში არჩეული 639-ვე დეპუტატის რწმუნებანი და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც შეაქვს ეროვნებათა საბჭოს განსახილველად:

„შეამოწმა რა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო დოკუმენტი და მასალა ცალკე თვითეულ დეპუტატზე, რომლებიც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წარმოადგინა, ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიამ გამოარკვია:

1. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები ყველა საარჩევნო ოლქში მოეწყო სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და სრული შესაბამისობით.

2. არ არის არავითარი საფუძველი რომელიმე საარჩევნო ოლქში არჩევნების კასაციისათვის, აგრეთვე არავითარი საჩივარი და განცხადება ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნების დროს სსრ კავშირის კონსტიტუციის ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების დარღვევათა შესახებ როგორც საარჩევნო ოლქებში, ისე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიას ეროვნებათა საბჭოს დასამტკიცებლად შემოაქვს წინადადება — ცნობილ იქნას ეროვნებათა საბჭოს ყველა იმ დეპუტატის რწმუნებანი, რომლებიც რეგისტრაციაში გაატარა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და რომელთა სია გამოქვეყნდა გაზეთ „იზვესტიის“ 1954 წლის 18 მარტის № 66-ში“. **(ტაში).**

კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. დ. მუსვაფაევის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიამ სსრ კავშირის კონსტიტუციის 50-ე მუხლის საფუძველზე შეამოწმა რწმუნებანი კავშირის საბჭოს დეპუტატებისა, რომლებიც არჩეული არიან 1954 წლის 14 მარტს, და მოგახსენებთ თავისი მუშაობის შედეგებს.

კავშირის საბჭოს არჩევნების მოსაწყობად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა 708 საარჩევნო ოლქი — 30 საარჩევნო ოლქით მეტი, ვიდრე შექმნილი იყო 1950 წელს კავშირის საბჭოს არჩევნების დროს. საარჩევნო ოლქების რაოდენობის გადიდება დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვან ზრდასთან. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ჩაიარა უდიდესი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში, მოსახლეობის მაღალი პოლიტიკური აქტივობით და ორგანიზებულობით. არჩევნები გახდა მძლავრი დემონსტრაცია საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა, რომელიც განუწყვეტლივ მტკიცდება, მისი დარაზმულობისა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, რომლებსაც ჩვენი ხალხი მტკიცედ მიჰყავთ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზით.

კავშირის საბჭოს დეპუტატების არჩევნებში ყველა საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან — 120.750.816 კაციდან მონაწილეობდა 120.727.826 ამომრჩეველი, რაც შეადგენს 99,98 პროცენტს. კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 120.479.249 კაცმა, ანუ კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა 99,79 პროცენტმა. უნდა აღინიშნოს, რომ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1950 წლის არჩევნებთან შედარებით გადიდდა 9.634.443 კაცით.

განიხილა რა დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციის ოქმები და საოლქო საარჩევნო კომისიების ხმის მიცემის ოქმები, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილი სხვა მასალები, კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიამ გამოარკვია, რომ არჩევნები 708-ვე საარჩევნო ოლქში მოხდა სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით. შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ისე საოლქო საარჩევნო კომისიებში არ შემოსულა საჩივრები და განცხადებანი, რომლებიც საეჭვოს გახდიდნენ არჩევნების სისწორეს რომელიმე საარჩევნო ოლქში. ამაზე დაყრდნობით სამანდატო კომისიას სწორად მიაჩნია რწმუნებანი 708-ვე დეპუტატისა, რომლებიც კავშირის საბჭოში არჩეული არიან ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობით.

ამხანაგო დეპუტატებო! კავშირის საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაში არჩეულია 188 მუშა, 114 გლეხი და 406 საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელი — ინჟინრები, ტექნიკოსები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაკები, მეცნიერების, კულტურის მუშაკები და სხვები.

კავშირის საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან მუშები, რომლებიც უშუალოდ არიან დასაქმებულნი წარმოებაში, საწარმოების დირექტორები, მშენებლობათა უფროსები, ინჟინრები და სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების სხვა სპეციალისტები.

კავშირის საბჭოში არჩეულია კოლმეურნეობათა 58 თავმჯდომარე, მტსებისა და საბჭოთა მეურნეობების 14 დირექტორი, 22 აგრონომი და ზოოტექნიკოსი, 9 ტრაქტორისტი და კომბაინერი, 32 ბრიგადირი, ფერმის გამგე, მერგოლური და სხვა კოლმეურნე.

კავშირის საბჭოს დეპუტატთა შორის არიან თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერები, რომლებიც თავიანთი გამოკვლევებით და აღმოჩენებით ამდიდრებენ საბჭოთა მეცნიერებას და ხელს უწყობენ სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარებას. კავშირის საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაში არიან ნიჭიერი მწერლები, დამსახურებული მასწავლებლები და ექიმები, აგრეთვე ხელოვნების ოსტატები, რომლებიც თავიანთი შემოქმედებითი შრომით ყოველდღიურად აუმჯობესებენ ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და ხელოვნების საქმეს.

კავშირის საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები, რომლებმაც თავი ისახელეს დიდი სამამულო ომის პერიოდში და სოციალისტური შრომის ფრონტზე. 33 დეპუტატს მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 42 დეპუტატი სოციალისტური შრომის გმირია, 642 დეპუტატი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. დეპუტატებს შორის 64 სტალინური პრემიის ლაურეატია.

კავშირის საბჭოს დეპუტატებად არჩეულია 170 ქალი, მათ შორის საშუალო სკოლის 18 მასწავლებელი, 15 ექიმი, 18 ინჟინერი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების 7 დირექტორი, კოლმეურნეობების 15 თავმჯდომარე, 13 აგრონომი და ზოოტექნიკოსი, 7 კომბაინერი და ტრაქტორისტი, აგრეთვე მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული მუშაკები.

ეს მონაცემები მოწმობენ, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით, საბჭოთა ქალები ჩვენს ქვეყანაში დაადგნენ სამეურნეო, კულტურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ფართო გზას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველი ღონისძიებით განამტკიცებენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას — მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ძალის წყაროს. სსრ კავშირის ხალხთა ამ მეგობრობის მკაფიო გამოხატულებაა კავშირის საბჭოს დეპუტატების მრავალეროვანი შემადგენლობა, რომელშიც არჩეული არიან ორმოცი ეროვნების წარმომადგენლები.

საგულისხმო მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ კავშირის საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობას განათლების მიხედვით. კავშირის საბჭოს 708 დეპუტატიდან 357 დეპუტატს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, 44-ს — დაუმთავრებელი უმაღლესი, 113-ს—საშუალო და 194 დეპუტატს — არასრული საშუალო და დაწყებითი განათლება. მონაცემები კავშირის საბჭოს დეპუტატთა განათლების შესახებ ასახავენ საბჭოთა ხალხის კულტურული დონის განუხრელ ამაღლებას.

კავშირის საბჭოს დეპუტატთა ასაკობრივი შემადგენლობა ასეთია: 23-30 წლისა — 38 კაცი, 31-40 წლისა — 112 კაცი, 41-50 წლისა — 348 კაცი, 51-60 წლისა — 173 კაცი, 60-ზე მეტი წლისა — 37 კაცი.

კავშირის საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობის შესახებ მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობას იღებენ მოსახლეობის უფართოესი ფენები, განურჩევლად რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, განათლების ცენზისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობის და წარსული საქმიანობისა.

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები ფხიზლად იცავენ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს და საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შრომას. საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ უყვარს თავისი არმია და კავშირის საბჭოში აირჩია 47 დეპუტატი — საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები.

კავშირის საბჭოში დეპუტატებად არჩეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 565 წევრი და წევრობის კანდიდატი და 143 უპარტიო. ეს მონაცემები ცხადყოფენ საბჭოთა ხალხის სრულ და განუყოფელ ნდობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

საბჭოთა კავშირის ხალხები მრავალი წლის გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ კომუნისტური პარტიის პოლიტიკა სწორია, რომ პარტიის პოლიტიკა შეესაბამება ხალხის ძირეულ ინტერესებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მთელი მოღვაწეობა ხალხისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითია. კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობა გვიჩვენებს, რომ იგი ყველაფერზე მაღლა აყენებს ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს მშრომელთა ინტერესებს.

კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვნად ხმის მიცემით საბჭოთა ადამიანებმა ცხადყვეს, რომ მხურვალედ უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, რომლის მიზანია ჩვენი სოციალისტური მრეწველობის შემდგომი აყვავება და სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში ახალ წარმატებათა მიღწევა, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენება.

საბჭოთა ხალხმა უდიდესი აღფრთოვანებით აირჩია კავშირის საბჭოს დეპუტატებად თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები.

ამხანაგო დეპუტატებო! კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიამ თავისი მუშაობის შედეგად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც შემოგვაქვს თქვენს განსახილველად:

შეამოწმა რა კავშირის საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო დოკუმენტი და მასალა ცალკე თვითეულ დეპუტატზე, რომლებიც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წარმოადგინა, კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიამ გამოარკვია:

1. კავშირის საბჭოს დეპუტატების არჩევნები 708-ვე საარჩევნო ოლქში მოეწყო სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და სრული შესაბამისობით.

2. არ არის არავითარი საფუძველი რომელიმე საარჩევნო ოლქში არჩევნების კასაციისათვის, აგრეთვე არავითარი საჩივარი და განცხადება კავშირის საბჭოს დეპუტატების არჩევნების დროს კონსტიტუციის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების დარღვევის შესახებ, როგორც საარჩევნო ოლქებში, ისე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიას კავშირის საბჭოს დასამტკიცებლად შემოაქვს წინადადება — ცნობილ იქნას კავშირის საბჭოს ყველა იმ დეპუტატის რწმუნებანი, რომლებიც რეგისტრაციაში გაატარა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და რომელთა სია გამოქვეყნდა გაზეთ „იზვესტიის“ 1954 წლის 18 მარტის № 66-ში“.

სკოლებში შემცირდა გამოცდების რაოდენობა

23 აპრილს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გამოსცა ბრძანება სკოლებში გამოცდების რაოდენობის შემცირების შესახებ.

ისინი, ვინც ამთავრებს საშუალო სკოლას, გამოცდებს სიმწიფის ატესტატზე ჩაბარებენ ცხრა საგანში. XI კლასის საგამოცდო საგნებია: მშობლიური ენა და ლიტერატურა — წერითი (თხზულება), მშობლიური ლიტერატურა — ზეპირი (მშობლიური კლასიკური ლიტერატურის ძირითადი ნაწარმოებებისა და საბჭოთა ლიტერატურის მიხედვით), რუსული ენა და ლიტერატურა (არარუსულ სკოლებში) — წერითი, რუსული ლიტერატურა (არარუსულ სკოლებში) — ზეპირი, გეომეტრია ტრიგონომეტრიით — წერითი, ალგებრა, ფიზიკა, ქიმია, სსრკ ისტორია — ზეპირი (IX-XI კლასების ფარგლებში).

IV კლასში მხოლოდ სამი წერითი გამოცდაა: მშობლიურ ენაში, რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში) და არითმეტიკაში.

V კლასში ორი წერითი გამოცდაა: მშობლიურ ენასა და რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში) და ერთი ზეპირი გამოცდა — არითმეტიკაში.

VI კლასში წერითი გამოცდებია მშობლიურ ენაში, რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში) და არითმეტიკაში, აგრეთვე ერთი ზეპირი გამოცდა — ბოტანიკაში (V-VI კლასების ფარგლებში).

VII კლასში მხოლოდ სამი წერითი გამოცდაა: მშობლიურ ენაში, რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში) და ალგებრაში.

VIII კლასში 6 გამოცდაა: მოსწავლეები აბარებენ მშობლიურ ენას (ზეპირი და წერითი), რუსულ ენას (არარუსულ სკოლებში — ზეპირი და წერითი), ალგებრას (წერითი) და გეოგრაფიას (ზეპირი).

IX კლასში ოთხი გამოცდაა. მათ შორის სამი წერითი გამოცდაა მშობლიურ ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში) და ალგებრაში, ზეპირი გამოცდაა გეომეტრიაში.

X კლასში მოსწავლეები აბარებენ წერით გამოცდას მშობლიურ ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში) და ალგებრაში, ხოლო ზეპირ გამოცდებს ახალ ისტორიაში (X კლასის ფარგლებში), გეომეტრიასა და უცხო ენაში.

წელს გამოცდები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებში დამთავრდება XI კლასებში — 16 ივნისს, VIII კლასებში — 4 ივნისს, IV კლასებში — 25 მაისს; რუსული სკოლების XI კლასებში — 14 ივნისს, VIII კლასებში — 2 ივნისს და IV კლასებში — 24 მაისს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო განმარტავს, რომ VIII კლასში ნაცვლად ზეპირი გამოცდისა მშობლიურ ენასა და ლიტერატურულ კითხვაში გამოცდა ეწყობა მხოლოდ მშობლიურ ენაში. ამიტომ საგამოცდო ბილეთებიდან ამოღებულ უნდა იქნას საკითხები ლიტერატურული კითხვის კურსიდან. ხოლო იმის გამო, რომ წერითი გამოცდა ნაცვლად ალგებრა-არითმეტიკისა ეწყობა მხოლოდ ალგებრაში, მოსწავლეებს მიეცემათ ერთი ამოცანა და ერთი მაგალითი ალგებრიდან ორ ვარიანტად.

ცვლილებები უნდა მოხდეს X კლასის ისტორიის საგამოცდო ბილეთებშიც. X კლასის მოსწავლეები ისტორიაში IX და X კლასების კურსის ნაცვლად მხოლოდ X კლასის კურსის ფარგლებში აბარებენ გამოცდებს. ამიტომ ამ საგნის მასწავლებლებმა ბილეთებში შეტანილი მეორე საკითხი უნდა შეცვალონ X კლასის მასალის მიხედვით.

XI კლასში ზეპირი გამოცდა ნაცვლად მშობლიური ენისა და ლიტერატურისა ეწყობა მხოლოდ ლიტერატურაში, ამიტომ საგამოცდო ბილეთებიდან ამოღებულ უნდა იქნას წინადადების გარჩევა.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დღიური

მოწინავე ადამიანები

ბათუმი. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში გუშინ მასობრივად გაჩაღდა სიმინდის თესვა. სტახანოველმა დ. ვარშანიძემ ხელით კვადრატულ-ბუდობრივად სიმინდი დათესა 15.000 ბუდნაში ნაცვლად 10.000-სა. ტრაქტორისტმა ხ. დუმბაძემ ამავე დღეს 10 ჰექტარი სიმინდი დათესა.

ამ კოლმეურნეობამ შეასრულა სიმინდის თესვის დავალება. და ორი ბრიგადა შეუდგა პამიდორის ჩითილის რგვას. მერგოლურმა ა. ნაგერავაძემ 11.000 ძირი პამიდორი გადარგო, 1,5 ჰექტარზე შეიტანა 14 ტონა ნაკელი.

აჭარისწყლის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობაში გაჩაღდა სიმინდის თესვა და თამბაქოს გადასარგავად ნიადაგის მომზადება. სოფელ ფერიის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყეს ციტრუსების ფუმიგაცია და შეიტანეს ოცი ტონა ნაკელი.

კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა

ახალციხე. („კომუნისტის“ კორ.). რამდენიმე დღის წინათ მთიანი ზონის კოლმეურნეობათა ფართობები თოვლით იყო დაფარული. ახლა კარგი ამინდია. კოლმეურნეები მასობრივად გავიდნენ მინდვრად სამუშაოდ. კვადრატულ-ბუდობრივად თესავენ კარტოფილს, სიმინდს. დიდი გამოცოცხლებაა ბაღ-ვენახებში.

გუშინდელი დღე ახალი წარმატებით აღნიშნეს სოფელ მინაძის და სოფელ მუგარეთის კოლმეურნეობებმა. მათ დაამთავრეს კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი რგვა. სოფელ ვალეს კოლმეურნეობამ 150 ჰექტარი კარტოფილი უნდა დათესოს, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად — 100 ჰექტარი. უკვე დათესეს 80 ჰექტარზე მეტი.

სოფლების ახის და აგარის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით გაანადგეს მრავალწლიანი ბალახების თესვის გეგმები. გუშინ აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კვადრატულ-ბუდობრივად დათესა პირველი რამდენიმე ჰექტარი სიმინდი. სიმინდის თესვაში დაწინაურდა ახალციხის მტს-ის ის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ა. აფციაური ხელმძღვანელობს. მან დღიური დავალება 120 პროცენტით შეასრულა.

ტიბაანელ და ჯუგაანელ კოლმეურნეთა შეჯიბრება

სილნაღი. („კომუნისტის“ კორ.). ულიანოვკის მტს-ის ტრაქტორისტი შოთა წიკლაშვილი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ტრაქტორისტ ტ. ბახტურიძესთან. იგი დღისით და ღამით შეუფერხებლად ამუშავებს ტრაქტორს სოფელ მაღაროს კოლმეურნეობა „ლენინის გზით“-ში.

მან გუშინდელი დღე აღნიშნა კვადრატულ-ბუდობრივად 17 ჰექტარი სიმინდის დათესვით; სულ დათესილი აქვს 100 ჰექტარამდე.

თესვაში დაწინაურდა ტიბაანის მტს-ის ტრაქტორისტი ი. ჭაბაშვილი, რომელიც მზესუმზირას თესავს კვადრატულ-ბუდობრივად ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. იგი დღეში ასრულებს ერთნახევარ-ორ ნორმას, თესავს 16 ჰექტარს.

ამ კოლმეურნეობამ 50 ჰექტარის ნაცვლად დათესა 100 ჰექტარი მზესუმზირა. აქ გუშინ დაიწყო სიმინდის თესვა. სოფელ ტიბაანის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 60 ჰექტარი სიმინდი, 60 ჰექტარი მზესუმზირა. ტიბაანელი კოლმეურნეები ეჯიბრებიან ჯუგაანელ კოლმეურნეებს თესვის მოკლე ვადებში დასამთავრებლად.

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი

სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი დიმიტრი ხუროშვილი

დ. ხუროშვილი

★

აზალსოფლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებს აჯამებდნენ. მტს-ის ხელმძღვანელებმა მეათე სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს დიმიტრი ხუროშვილს სასოფლო-სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრება და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მიულოცეს.

— სატრაქტორო სამუშაოები ნაცვლად 1.505 ჰექტარისა შესრულებულია 2.644 ჰექტარზე. შემოდგომის ხორბალი გეგმის გადამეტებით ჯვარედინად დათესილია 59 ჰექტარზე.

— დაზოგილია 1.610 კილოგრამი საწვავი.

— თვითეული ჰექტარის დამუშავების თვითღირებულება შემცირებულია 2 მანეთით და 25 კაპიკით.

საამაყო მაჩვენებლებია!

ბრიგადაში ყველას გაუსწრო კომკავშირელმა ტრაქტორისტმა შოთა ბატონისაშვილმა. მან „დტ-54“ მარკის ტრაქტორის წლიური დატვირთვა ნაცვლად 723 ჰექტარისა აიყვანა 1.104 ჰექტარამდე. კარგად იმუშავეს აგრეთვე ტრაქტორისტებმა ნიკოლოზ ქერდიყოშვილმა, სანდრო გელაძემ. მათ მნიშვნელოვნად გადაამეტეს სატრაქტორო სამუშაოთა წლიურ გეგმებს და დიდძალი საწვავი დაზოგეს.

* * *

...გაჩაღდა ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების სამემოდგომო-საზამთრო რემონტი.

— აბა, ბიჭებო, — აფრთხილებდა ბრიგადირი დიმიტრი ხუროშვილი ბრიგადის წევრებს, — ხომ იცით, 1954 სასოფლო-სამეურნეო წლის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხარისხით შეავასრულებთ ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების რემონტს. მაღალ ხარისხთან ერთად უნდა უზრუნველყოთ რემონტისათვის განკუთვნილი სახსრების ყაირათიანი ხარჯვა.

...ტრაქტორების რემონტი დაიწყო. სატრაქტორო ბრიგადის ყველა წევრი თავგამოდებით მუშაობდა. ბეჯითმა შრომამ ჩინებული ნაყოფი გამოიღო.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურში ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი ერთ-ერთმა პირველმა მეათე სატრაქტორო ბრიგადამ დაამთავრა. ბრიგადის წევრებმა რემონტის მაღალხარისხოვნად შესრულებასთან ერთად ამ საქმეზე განკუთვნილი თანხიდან სახელმწიფოს მისცეს 2.119 მანეთი ეკონომია.

* * *

რით აღწევენ ასეთ წარმატებებს დიმიტრი ხუროშვილის სატრაქტორო ბრიგადა და მისი წევრები? — შრომის სწორი ორგანიზაციით და მძლავრი ტექნიკის სრულყოფილად გამოყენებით. ადამიანები, რომელთა ხელშია ბრიგადის მთელი ტექნიკა, სისტემატურად სწავლობენ და ეუფლებიან შრომის მოწინავე მეთოდებსა და ხერხებს. თვით სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი დ. ხუროშვილი კარგად ფლობს ტრაქტორისტის, კომბაინერის, ზეინკლის და მჭედლის პროფესიებს. ორ და მეტ პროფესიას ფლობენ აგრეთვე ბრიგადის ტრაქტორისტები ნიკოლოზ ხუროშვილი, გიორგი ქერდიყოშვილი და სხვები.

სატრაქტორო ბრიგადას საწვავის ეკონომიის გაწევაში დიდად უწყობს ხელს სწორად შედგენილი გეგმა-მარშრუტი, რითაც აღმოფხვრილია ტრაქტორების ერთი ნაკვეთიდან მეორეში უნაყოფოდ გადასვლის შემთხვევები.

* * *

გაზაფხულდა. ტირიფონის ველზე კვლავ აგუგუნდნენ ტრაქტორები. მეათე სატრაქტორო ბრიგადა სოფელ ხურვალეთის (გორის რაიონი) გამსხვილებულ კოლმეურნეობა „პირველ მაისში“ წარმატებით თესავს საგაზაფხულო კულტურებს. მექანიზატორები კარგა ხანია მორჩნენ საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესვას. ამ დღეებში დაამთავრეს შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულისა და საკვები კულტურების თესვა. ახლა მთელი შესაძლებლობით მიმდინარეობს სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა. ეს სატრაქტორო ბრიგადაში ახალი საქმეა, მაგრამ ბრიგადის ყველა მექანიზატორი მას კარგად ფლობს. ამიტომ არის, რომ კომკავშირელი ტრაქტორისტი ნიკოლოზ ქერდიყოშვილი ყოველდღიურად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარის ნაცვლად კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესავს 10-11 ჰექტარ სიმინდს. ამ წესით უკვე დათესილი აქვს 31 ჰექტარი სიმინდი. ტრაქტორისტმა ქერდიყოშვილმა განაცხადა:

— ჩვენმა ბრიგადირმა შეგვაჩვია დილით ადრე გულდასმით შევამოწმოთ ტრაქტორის თვითეული კვანძი, მომქირნეობით ვხარჯოთ საწვავი, ზუსტად შევასრულოთ აგრონომის ყოველი მითითება.

* * *

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლებისათვის იბრძვის სატრაქტორო ბრიგადის ყველა წევრი. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ბრიგადის წევრთა სახელით სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა დ. ხუროშვილმა ვალდებულება იკისრა წელს სატრაქტორო სამუშაოთა დავალება შეასრულოს 160 პროცენტით, ჰექტარზე მოიყვანოს 24 ცენტნერი ხორბალი ნაცვლად 17-ისა, 35 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 23-ისა, ამასთან გეგმასთან შედარებით 10-12 პროცენტით გაზარდოს ბოსტნეულის მოსავლიანობა და თვითეული ჰექტარის დამუშავების თვითღირებულება შეამციროს 3 მანეთით.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ნამ ირის განცხადება

ქენევა, 25 აპრილი. (საკდესი). დღეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა პრესის წარმომადგენლებს ჟენევაში ჩამოსვლასთან დაკავშირებით შემდეგი განცხადება გადასცა:

26 აპრილს უნდა გაიხსნას ჟენევის თათბირი, რომლის წარმატება კორეის საკითხის მშვიდობიან გადაჭრაში მნიშვნელოვანი წვლილი იქნება აზიაში მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში.

მთელი კორეელი ხალხი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად იმედოვნებს, რომ ჟენევის თათბირზე მიღწეულ იქნება დადებითი შედეგები.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია ყოველ ღონისძიებას მიიღებს, რათა მშვიდობიანი გზით გადაიჭრას კორეის საკითხი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ხუთი დიდი სახელმწიფოს — სსრ კავშირის, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა გულწრფელი ერთობლივი ღონისძიებების გზით.

ვსარგებლობ შემთხვევით და მივესალმები ჟენევის მცხოვრებთ და შვეიცარიის მოქალაქეთ.

პოლონეთის 1954 წლის პირველი კვარტალის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება

ვარშავა, 25 აპრილი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა სახელმწიფო ეკონომიური დაგეგმვის კომისიის ცნობა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 1954 წლის პირველი კვარტალის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შესახებ.

ცნობაში ნათქვამია, რომ სოციალისტურმა მრეწველობამ საერთო პროდუქციის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 102,5 პროცენტით შეასრულა. 1953 წლის პირველ კვარტალთან შედარებით საერთო პროდუქცია გაიზარდა თითქმის 15 პროცენტით.

მეტალურგიული მრეწველობის სამინისტრომ კვარტალური გეგმა შეასრულა 103 პროცენტით, სამთო მრეწველობისამ — 102 პროცენტით, ენერგეტიკისამ — 101 პროცენტით, მანქანათმშენებლობისამ — 107 პროცენტით, ქიმიური მრეწველობისამ — 103 პროცენტით, საშენ მასალათა მრეწველობისამ — 105 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ — 102 პროცენტით.

1954 წლის პირველ კვარტალში გადამეტებით შესრულდა ფოლადის, ნაგლინის, ელექტროენერგიის, ჩარხების, საფეიქრო მანქანების, მსუბუქი ავტომობილების, ტრაქტორების წარმოებისა და რკინის მადნის, სპილენძის მადნის, მარილისა და სხვ. მოპოვების გეგმა.

გადამეტებით შესრულებულია აგრეთვე ერბოკარაქის, რძის, ყველის, ლუდის, ღვინის, ბამბეულის და აბრეშუმის ქსოვილების, ტყავისა და რეზინის ფეხსაცმლის, მოტოციკლებისა და სახალხო მოხმარების სხვა საქონლის წარმოების გეგმა.

შრომის ნაყოფიერება 1953 წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაიზარდა 10 პროცენტით.

სამიწათმოქმედო საწარმოო კოოპერატივები, სახელმწიფო სამიწათმოქმედო მეურნეობანი და გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობანი საგაზაფხულო თესვისათვის შარშანდელზე უკეთ მოემზადნენ.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის მოსახლეობის მომარაგება. ცენტრალურმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ საქონლბრუნვის გეგმა 106 პროცენტით შეასრულა. გადიდდა სოფლის მცხოვრებთა მომარაგება ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და საოჯახო საგნებით.

დაჯილდოვეს საბჭოთა და აღბანელი კინომუშაკები. რომელებმაც მონაწილეობა მიიღეს სკანდერბეგის შესახებ ფილმის შექმნაში

ტირანა, 26 აპრილი. (საკდესი). ალბანეთის პრესამ გამოაქვეყნა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული კრების პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ დაჯილდოებული არიან საბჭოთა და ალბანელი კინომუშაკები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ფერადი მსატვრული ფილმის „ალბანეთის დიდ მეომარ სკანდერბეგის“ შექმნაში. თავისუფლების პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოებული არიან: მ. პაპავა — სცენარის ავტორი, ს. იუტკევიჩი — ფილმის დამდგმელი, ა. ხორავა — სკანდერბეგის როლის შემსრულებელი; თავისუფლების მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოებული არიან: ე. ანდრიკანისი და ი. სვირიდოვი; შრომის პირველი ხარისხის ორდენით — ს. სოკოლოვსკი, გ. ჩერნოვოლენკო, ვ. სოლოვიოვი, ნ. ლებკოევი; შრომის მეორე ხარისხის ორდენით — ბ. ვოლკსი, მ. ჩიკირიოვი, ო. კრუჩინინა, ვ. ბრიანცევი; შრომის მესამე ხარისხის ორდენით — ა. ნერკოვი.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია აგრეთვე ალბანეთის კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა ჯგუფი, რომელმაც თავი გამოიჩინა ფილმის შექმნაში. შრომის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოებული არიან: შემსი ტოტოზანი, ისტორიკოსი ალექს ბუშა, მსახიობი ბესა იმამი, კომპოზიტორი ჩ. ზადეია, პოეტი ლაზარ სელიკი; მსახიობები მიხალ პოპი და ნიმ ფრაშერი, რეჟისორი ვ. სტრატობერდი; შრომის მეორე ხარისხის ორდენით — ფრანო იაკოვა, მსახიობი ადივე ჭლიბალი და სხვები.

ფილმს ბევრი მონაწილე დაჯილდოებულია შრომის მედლით.

24 აპრილს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ორდენები და მედლები კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ხალხურებეგის შესახებ ფილმის მომზადებასა და შექმნაში.

ნერუს განცხადება პარლამენტში

ლონდონი, 24 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგაზეთოს კორესპონდენტი დელიიდან იუწყება, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ დღეს პარლამენტის სახალხო პალატაში აღნიშნა სერიოზული საფრთხე, რომელიც ინდოჩინეთის ომთან დაკავშირებთ მთელ მსოფლიოს ემუქრება. ნერუმ ჩამოაყალიბა ხუთი პუნქტისაგან შემდგარი გეგმა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ჟენევის თათბირის მონაწილე ქვეყნებმა.

ნერუს საქმიროდ მიაჩნია: 1) შეიქმნას მშვიდობის ატმოსფერო ჟენევის თათბირის წინ; 2) დაუყოვნებლივ მოუწოდონ, რომ შეწყდეს ცეცხლი ინდოჩინეთში; 3) დაუყოვნებლივ მოხდეს საფრანგეთის სუვერენიტეტის ლიკვიდაცია ინდოჩინეთში; 4) დაიწყოს პირდაპირი მოლაპარაკება მეომარ მხარეებს შორის; 5) განხორციელდეს სხვა სახელმწიფოთა ჩაერევლობა და დაუყოვნებლივ შეწყდეს ყველა სახის სამხედრო დახმარება.

შეეხო რა ეგრეთწოდებულ პაქტს „კოლექტიური უშიშროების შესახებ“ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ნერუმ განაცხადა, რომ ასეთი წინადადება ინდოეთს „ძლიერ უკრუებს“ იმის იმედს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია კვლავ მშვიდობის რაიონი იქნება და არ მიიღებს მონაწილეობას სახელმწიფოთა ბლოკებში.

საბჭოთა მეცნიერები ირანში

თეირანი, 25 აპრილი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის ირანის საზოგადოების შენობაში გაიმართა ირანში ავიაციას (იბნ-სინას) 1.000 წლისთავის იუბილეს დღესასწაულზე ჩამოსული ალბოთა მეცნიერების შეხვედრის საღამო.

გარდა საზოგადოების წევრებისა საღამოს დაესწრნენ თეირანის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სსრ კავშირის ელჩი ირანში ა. ი. ლავრენტიევი, ირანში სსრ კავშირის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა, აგრეთვე ირანში სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და თანამშრომლები. სულ საღამოს დაესწრო 600-ზე მეტი კაცი.

მოხსენება თემაზე „საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარებისა და მისი მიღწევის გზები“ გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ბ. ნ. ზახოდერმა.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პოეტ ტურსუნ-ზადეს გამოსვლას. გამოსვლის შემდეგ დამსწრეთა თხოვნით ტურსუნ-ზადემ წაიკითხა ერთ-ერთი თავისი ლექსი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ე. ე. ბერტელსმა ილაპარაკა აღმოსავლეთის კლასიკოსთა ნაწარმოებებზე საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეების მუშაობის შესახებ.

ყველა საბჭოთა მეცნიერი გამოვიდა სპარსულ ენაზე. მოხსენების შემდეგ დამსწრეთ უჩვენეს საბჭოთა მხატვრული ფილმი „ჩინეთის ცირკი“.

ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს სლოვაკიაში განაჩენი გამოუტანეს

პრაღა, 25 აპრილი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა სლოვაკიის ბურჟუაზიული ნაციონალისტების ჯგუფის საქმეზე გამართული სასამართლო პროცესის შესახებ. ჯგუფში, რომელსაც გუსტავ გუსაკი მეთაურობდა, შედიოდნენ: ლადისლავ ნოვომესკი, დანიელ ოკალი, ივანე ხორვატი და ლადისლავ გოლდოში.

ყველა ბრალდებულმა, როგორც ბურჟუაზიულმა ნაციონალისტმა, მძიმე დანაშაული ჩაიდინა სახალხო-დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ. ისინი შეუერთდნენ ვლადიმერ კლემენტისს — რუდოლფ სლანსკის ანტისახელმწიფოებრივ შეთქმულთა ცენტრის წევრს და ხალხის სხვა მტრებს და ცდილობდნენ მოესპოთ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და ერთიანობა და მისი სახალხო-დემოკრატიული წყობილება.

სასამართლომ ცნო, რომ ყველა ბრალდებული სამშობლოს მოღალატეა, რომ ისინი დივერსიებს აწყობდნენ და ჯაშუშობას ეწეოდნენ კაპიტალისტური ქვეყნების დაზვერვათა დავალებით და მოუსაჯა: გუსტავ გუსაკს მუდმივი პატიმრობა, ივანე ხორვატს 22 წლის, დანიელ ოკალის 18 წლის, ლადისლავ გოლდოშს 13 წლის, ლადისლავ ნოვომესკის 10 წლის პატიმრობა, მოქალაქეობრივ უფლებათა აყრა და ქონების სრული კონფისკაცია.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ნიკარაგუამ ხელი მოაწერეს სამხედრო პაქტს

პარიზი, 25 აპრილი. (საკდესი). ფრანს პრესის საგაზეთოს კორესპონდენტი მანაგუადან (ნიკარაგუა) იუწყება, რომ დღეს აქ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ნიკარაგუამ ხელი მოაწერეს პაქტს სამხედრო დახმარების შესახებ.

სპორტის ამბები

ბატჩი-მატჩები პირველობაზე მიმდინარეობს

კვირას ჩიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გათამაშდა მსოფლიო პირველობაზე მ. ბოტვინიკისა და ვ. სმისლოვის მატჩის 24 აპრილს გადადებული პარტია. შეხვედრა დამთავრდა ყაიმით. ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 10:8 მსოფლიო ჩემპიონის მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ.

სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში

თბილისი. 25 აპრილი. ცდსა-სა და თბილისის „დინამოს“ მატჩის დაწყების წინ ძლიერ წვიმდა, მოედანი წყლით გაიეღენთა, ატალახდა.

შეჯიბრების დაწყებიდან ხუთი წუთი არც კი იყო გასული, რომ ორივე გუნდის საჯარიმო მოედანზე არაერთხელ შეიქმნა სახიფათო მომენტი, მეკარეებმა მოიგერიეს საშიში ბურთები.

მე-7 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ნახევარდამცველისაგან მიღებული ბურთით წინ გაიჭრა კოტრიკაძე და პირით ხაზამდე მისულმა ჩაწოდა საჯარიმო მოედანზე. აქ ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა ოთხი თბილისელი მოთამაშე. დარტყმა წილად ხვდა გუნდის კაპიტანს ღოღობერიძეს და ანგარიში გაიხსნა.

არმიელმა ფეხბურთელებმა პირველ მარკს გაძლიერებული თამაშით უპასუხეს. 35-ე წუთზე მსაჯმა კლაესმა (რიგა) რამდენიმე გაფრთხილების შემდეგ უხეში თამაშისათვის მოედნიდან გააძევა ნახევარდამცველი ბელკოვი.

დარჩენილ წუთებში ანგარიში არ შეცვლილა. პირველი ტაიმი დამთავრდა დინამოელთა სასარგებლოდ 1:0.

ათის წინაღმდეგ თერმიტის ბრძოლა თბილისელებს მდგომარეობას უმსუბუქებდა. მოსალოდნელი იყო, რომ დინამოელები შეჯიბრებას თავიანთ სასარგებლოდ დამთავრებდნენ. მაგრამ 35-ე წუთზე არმიელმა ფეხბურთელებმა გაათანაბრეს ანგარიში და შეჯიბრება დამთავრეს ფრედ 1:1.

ხარკოვი. 25 აპრილი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა მოსკოვის „სპარტაკმა“ მორიგი შეხვედრა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე გამართა ხარკოვის „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა ანგარიშით 3:0.

კუიბიშევი. 25 აპრილი. აქ გაიმართა ასპარეზობა ფეხბურთში კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდებს შორის. მატჩი მოიგო „ტორპედომ“ 3:1. ამრიგად, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ გაწიაცადა პირველი დამარცხება.

კიევი. 25 აპრილი. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონზე შემდგარი თამაში კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 0:0.

ფინასადღესასწაულო და სადღესასწაულო ვაჭრობა

წინასადღესასწაულო და დღესასწაულის დღეებში მშრომელთა უკეთ მომსახურების მიზნით გადიდებულია ვაჭრობის საათები. 28, 29 და 30 აპრილს თბილისის ყველა სასურსათო მაღაზია იმუშავებს ღამის 12 საათამდე, სამრეწველო საქონლის მაღაზიები — 10 საათამდე. 1 მაისს იმუშავებენ მხოლოდ მორიგე სასურსათო და პურ-ფუნთუშის მაღაზიები. კვირას, 2 მაისს ღია იქნება ყველა სამრეწველო და სასურსათო მაღაზია.

1 მაისს მშრომელთა დემონსტრაციისა და სახალხო სეირნობის დროს ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე მოეწყობა კვების პროდუქტების დატარებითი ვაჭრობა. გამოტანილ იქნება ფუნთუშეული, ბუტერბროდი, ღვეზელი, ცხელი სოსისი და კატლეტი, ხილი, საკონდიტრო ნაწარმი, ლუდი, გამაგრილებელი წყლები, ნაყინი და სხვ. სულ იმუშავებს 50 ავტომანქანა და 175 დამტარებელი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

28 აპრილს	ხ. ფალიაშვილი — **აბესალომ და ეთერი**
30 აპრილს	დ. თორაძე — **გორდა** (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით).

(დასაწყისი საღამოს 8 საათზე)

ღღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — დონ სეზარ დე ბაზანი, **მარჯანიშვილის სახელობის** — უფსკრულთან, **გრიბოედოვის სახელობის** — ასი მილიონი, **სომხური დრამის** — შშობლიური მხარე, **მუსიკალური კომედიის** — ჩვენი ნაცნობები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ორი სპეციალისტი (აბონემენტი № 13, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ესპანელები (7 ს.), **სანიტარული კულტურის** — პლატონ კრეჩეტი, **თოჯინების ქართული** — მშვიდობის ფრთებზე (5 ს.).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, ისანი, 26 კომისრის — ხომალდის მეთაური, **კომკავშირელი** — ჩემი ბატარა მეგობარი, **კოლხიდა** — მრისხანების ველი, **დიდუბე, კოლმეურნე, ოფიცერთა სახლი** — რომი 11 საათზე.

ᲨᲔᲛᲔᲜᲐᲮᲕᲔᲚ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲐᲜᲐᲑᲠᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲔᲜ ᲡᲡᲠᲙ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲒᲐᲜᲒᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ

Სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროები იღებენ ანაბრებს მოთხოვნამდე, ვადიანს, მომგებიანს, პირობითს და მიმდინარე ანგარიშებზე;

ᲒᲐᲡᲘᲪᲔᲛᲔᲜ ᲐᲜᲐᲑᲠᲔᲑᲘᲡ მეანაბრეთა პირველი მოთხოვნისთანავე; **ᲒᲬᲐᲕᲜᲘᲐᲜ ᲐᲜᲐᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲐᲜᲐᲑᲠᲔᲗᲐ** დავალებით სსრ კავშირის ყველა შემნახველ სალაროში; **ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲜ** აკრედიტივების გაცემას და განაღდებას. **ᲐᲜᲐᲚᲓᲔᲑᲔᲜ** სახელმწიფო სესხთა ობლიგაციების მოგებას.

მემნახველ სალაროებში შეტანილ ანაბრებზე მეანაბრეებს ეძლევათ შემოსავალი ანაბრებზე მოთხოვნამდე, პირობითს ანაბრებსა და მიმდინარე ანგარიშებზე წლიურად 3%; ვადიან ანაბრებზე — ვადით არანაკლებ 6 თვისა — წლიურად 5%; მომგებიან ანაბრებზე შემოსავალი გაიცემა მოგებათა სახით. ამ ანაბრის მოგებათა ტირაჟები ტარდება წელიწადში ორჯერ — აპრილსა და ოქტომბერში. მოგების თანხა დამოკიდებულია ანაბრის ოდენობასა და შემნახველ სალაროში მისი შენახვის ხანგრძლივობაზე.

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისათვის მინდობილი ფულისა და ფასეულობის დაცულობა გარანტირებულია სსრ კავშირის მთავრობის მიერ.

ᲨᲔᲘᲜᲐᲮᲔᲗ ᲤᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲜᲔᲑᲨᲘ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ აცხადებს, რომ ა. წ. 18 მაისს დღის 3 საათზე ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქუჩა № 10) — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. **ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲦᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ** — თემაზე: **„მასალები ადონიზიდის ფარმაკოლოგიისათვის“.**

ოფიციალური ოპონენტები — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი **დ. გედევანიშვილი** და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ი. ვადაჭკორია.**

2. **ᲚᲘᲐᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ** — თემაზე: **„კანის თავიხუფალი გადანერგვა დერმატომით“.**

ოფიციალური ოპონენტები — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **დ. ოსსელიანი** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. **მ. ჩაჩავა.**

შრომების გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

საქვაჭრობის თბილისის განყოფილების მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **დავით ოსების-ძე რობაქიძის** გარდაცვალებას.

დეიდა ქეთო, ბიძა ვლადიმერ დედით მარიამთან, დეიდაშვილები შოთა, ზურაბ ხუროშვილები, ბიძა აბესალომ, ბიცოლა ვალენტინა, ბიძაშვილები ზურაბ, ციალა მეუღლით მაშა ყუშიტაშვილით იუწყებიან **ნინო ალექსანდრეს ასულ კეკელიძის** გარდაცვალებას.

მთავარი სააფთიაქო სამმართველოს და თბილისის სააფთიაქო ქსელის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება **ეკატერინე სიმონის ასულ ამაშუკელი-ლეჟავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-IV სოფელ არგვეთაში.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ქარ